# ყველაზე ძლევამოსილი პრეზიდენტი, მეფე და იმპერატორი ამქვეყნად კანონია, რომელზე მაღლა დგომაც მუდამ ჭკუადაუმჯდარ ადამიანთა პასუხისმგებლობით მთავრდება!..


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 31 ივლისი, 2014 წელი.

№149 (7530)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## განკითხვა

...ამერიკის დეპარტამენტი შეშფოთებულია, შეშფოთებულია ევროკავშირიც, მაგრამ შეშფოთებულია არა იმის გამო, თუ რატომ წაუყენეს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ესოდენ მძიმე ბრალდებები, არამედ იმის გამო, რომ თურმე საქართველოს მთელი ცხრა წელიწადი დემოკრატის ნიღაბაფარებული, კაცთმოძულე ბოროტმოქმედი მართავდა.

ასე რომ, ამჯერად ყოველგვარი პოლიტიკური შურისგება გამორიცხულია. ბოლოს და ბოლოს, მართლმსაჯულება ამუშავდა. ამჟამინდელი სამართლიანობის აღდგენა ჭკუის სასწავლი მწარე გაკვეთილი უნდა გახდეს როგორც გუშინდელი და დღევანდელი, ისე მომავალი მთავრობებისა და ხელმძღვანელებისთვის.




იხ. 2-3 გვ.


## რა ითქვა ჯერ კიდევ 7 წლის წინათ

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ევროსაბჭომ, ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარმა 2007 წლის 7 ნოემბერს, მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენების გამო შეშფოთება გამოთქვეს. „რეპორტიორი“ Human Rights Watch-ის 2008 წლის ანგარიშს გთავაზობთ:

## ძველ ხიბულაში სროლებამდე და სროლების შემდეგ




4


30 ვერცხლად გაყიდული „საქართველოს სულიერი მისია“

## როდის მივა გამოძიება ლოგიკურ დასასრულამდე?


6


საზოგადოებრივმა საბჭომ ლაფანყურის საქმეზე მოკვლევა დაასრულა

## ბიჭები „ლადაობდნენ“?!


3


საბედისწერო თათბირი

# რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№149. ხუთშაბათი, 31 ივლისი, 2014 წელი.

# განკითხვა: რა ითქვა ჯერ კიდევ 7 წლის წინათ

HUMAN RIGHTS WATCH-ის

ანგარიში

2008 წლის იანვარი

მოკლე მიმოხილვა

## საქართველო

ნოემბერში რამდენიმედღიანი მასშტაბური მშვიდობიანი საპროტესტო აქციების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება დაიწყო, რამაც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სერიოზული კრიზისი გამოიწვია. აღნიშნული კრიზისი განპირობებული იყო მმართველი პარტიისა და მისი მხარდამჭერებს შორის გაბატონებული შეხედულებით, თითქოს ადამიანის უფლებათა დარღვევა, ზოგიერთ შემთხვევაში — საკმაოდ სერიოზულიც კი, გამართლებულია იმ იდეით, რომ თითქოს ეს საჭიროა ძლიერი სახელმწიფოს აშენებისათვის, რომელიც მომავალში უკეთ დაიცავს უფლებებს. ასეთი მიდგომით საქართველო გზას იკვალავს საერთაშორისო სტანდარტებისაკენ. ციხეში პირობები კვლავ მძიმეა. სამართლიანი სასამართლო და კერძო საკუთრების უფლება კვლავ შეზღუდულია. საერთაშორისო რეკომენდაციების მიუხედავად, 2007 წელს საქართველოში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი შემცირდა.



## გამოხატვისა და თავშეყრის თავისუფლება

თბილისში რამდენიმედღიანი ფართომასშტაბიანი მშვიდობიანი აქციების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მომიტინგეებს ძალა დაუპირისპირა და ქვეყანაში ცხრადღიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნული ზომები ხელისუფლებამ მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების თავიდან ასაცილებლად გაატარა. სპეცრაზმმა გადამეტებული ძალა გამოიყენა მომიტინგეების დასარბევად, მათ წყლის ჭავლით, ცრემლსადენი გაზით და რეზინის ტყვიებით დაუპირისპირდა. პოლიციელები ცემდნენ ცალკეულ მომიტინგეებს. ოფიციალური მონაცემებით, 550-ზე მეტი აქციის მონაწილე და 34 პოლიციელი სხვადასხვა დაზიანებებით საავადმყოფოში მოათავსეს. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის იანვარში, რამაც არსებული კრიზისი განმუხტა.

7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, პროკურატურის ინფორმაციით, 75 ადამიანი წვრილმანი ხულიგნობისათვისა და პოლიციის დაუმორჩილებლობისათვის დააპატიმრეს; მათგან 21 წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსდა, 54 კი მხოლოდ დაჯარიმდა. 7 ნოემბრის შემდეგ დაუდგენელი ადამიანები თავს ესხმოდნენ ოპოზიციის აქტივისტებს; სამართალდამცავები იჭერდნენ ადამიანებს ისეთი გაურკვეველი ბრალდებით, როგორიცაა ხულიგნობა. მაგალითად, ადამიანის უფლებათა დამცველი „თანასწორობის ინსტიტუტის" სამი აქტივისტი, ასევე რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთის აქტივისტი, თბილისში 16 ოქტომბერს მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს დააპატიმრეს. 28 ოქტომბერს დაუდგენელი პირები, სავარაუდოდ, უშიშროების თანამშრომლები, თავს დაესხნენ აქციის მონაწილეებს; ორი მათგანი მძიმედ დაშავდა, როდესაც ისინი ზუგდიდში გამართულ საპროტესტო დემონსტრაციას ტოვებდნენ. 8 ნოემბერს პოლიციამ დაარბია სტუდენტების აქცია შავი ზღვის სანაპირო ქალაქ ბათუმში. ისინი აპროტესტებდნენ თბილისში წინა დღეს მომხდარ ძალადობის ფაქტებს.

7 ნოემბრის საღამოს სპეცრაზმმა დაარბია კერძო ტელეკომპანია „იმედი"; მათ გაანადგურეს საარქივო მასალა და დაამტვრიეს აპარატურა; ხოლო თანამშრომლებს გარკვეული პერიოდი იარაღის ქვეშ ამყოფებდნენ. „იმედი" და კიდევ ერთი კერძო ტელეკომპანია „კავკასია" გაითიშა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა, რაც ცხრა დღე გაგრძელდა. ამ პერიოდის განმავლობაში იკრძალებოდა თავშეყრა და ინფორმაციის გავრცელება არ შეეძლო არც ერთ მედიასაშუალებას, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა 16 ნოემბერს გააუქმა, თუმცა, „იმედის" მაუწყებლობა სამი თვით შეწყდა.

მოკლე წინა-საარჩევნო პერიოდმა, საგანგებო მდგომარეობის დროს თავშეყრის უფლებისა და მედიასაშუალებების საქმიანობის შეზღუდვამ, საქართველოში წამყვანი ალტერნატიული სატელევიზიო მაუწყებლობის არარსებობამ გავლენა იქონია წინა საარჩევნო კამპანიაზეც.

## საპატიმროებში არსებული სიტუაცია

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა 2007 წლის ნოემბერში 772 პატიმარი შეიწყალა, საქართველოში არსებული თითქმის ყველა საპატიმრო გადავსებულია, არასათანადო კვება, დაბალი ხარისხის სამედიცინო დახმარება, გასეირნების შეზღუდვა ციხეეში არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები უფრო ხშირად იყენებენ გირაოს, როგორც წინასწარი პატიმრობის შემცვლელ ერთ-ერთ ფორმას, 2007 წელს ყოველთვიურად პატიმართა რიცხვი საშუალოდ 400 ადამიანით იზრდება. მაგალითად, 1 ოქტომბერს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში იყო 19 441 პატიმარი; რაც ნიშნავს რომ მათი რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 50 %-ით გაიზარდა. აღნიშნული სიტუაცია გამოიწვია მთავრობის სერიოზულმა ანტი-კრიმინალურმა კამპანიამ. ხელისუფლებამ გადავსებული ციხეების პრობლემის აღმოსაფხვრელად ახალი ციხეები ააშენა, ნაცვლად წინასწარი დაკავების იზოლატორებისათვის ალტერნატიული ფორმის შემუშავებისა. 2007 წლის ბოლოს მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი პატიმრის გათავისუფლება ამნისტიის საფუძველზე. ნათელია, რა შედეგს მოახდენს ეს ინიციატივა გადავსებულ საპყრობილეებზე.

მაგალითად, ხელისუფლების შეფასებით, 2006 წლის მარტში თბილისის მე-5 საპყრობილეში მომხდარი არეულობის დროს ბუნტის ჩასახშობად ძალოვან სტრუქტურებს გადამეტებული ძალა არ გამოუყენებიათ. ამ ფაქტს დაახლოებით შვიდი პატიმრის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო 17 პატიმარი სერიოზულად დაშავდა.



## არასრულწლოვანთა სამართალი

2007 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი გარკვეულ დანაშაულებებზე 14-დან 12 წლამდე შეამცირა. შესაბამისად, არასრულწლოვნები კიდევ უფრო დაუცველები დარჩნენ კანონის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები ძალაში 2008 წლის ივნისში შევა, საქართველომ უნდა შექმნას არასრულწლოვანთა სამართლის სისტემა, რომელსაც შეეძლება ახალგაზრდა დამნაშავეების რეაბილიტაცია.

არასრულწლოვანთა კოლონიაში აგვისტოს თვეში მომხდარი არეულობა „მოზარდებს შორის შეტაკებად" აღიარეს. ამ ინციდენტის შედეგად, 12 პატიმარი და ერთი დაცვის წევრი დაშავდა. 107 არასრულწლოვანი ზრდასრულთა ციხეში გადაიყვანეს, სადაც 64 მათგანი სამი თვის განმავლობაში დარჩა. არასრულწლოვან პატიმრებს წაერთვათ უფლება განათლების მიღებისა და შეეზღუდათ ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლება.



## სამართლიანი სასამართლოს შეზღუდვა

2007 წლის აგვისტოში უშიშროების ყოფილი დევნილი მინისტრის იგორ გიორგაძის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციების ცამეტი წევრი დააპატიმრეს და მათ რვა წელი და 6 თვე მიუსაჯეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის. მოწმეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ აღნიშნული პირების სასამართლო პროცესები დახურა.

2007 წლის მაისში „წინ საქართველოს" ლიდერს ირაკლი ბათიაშვილს მიესაჯა შვიდწლიანი პატიმრობა. მას ბრალად ედებოდა დანაშაულის დაფარვა და სახელმწიფო გადატრიალებაში ეჭვმიტანილი ამბოხებულის ინტელექტუალური მხარდაჭერა. საქართველოს სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა, გააკრიტიკა სასამართლო პროცესი, რომელზეც დაცვის მხარეს არ გააჩნდა უფლება გასცნობოდა ბრალდების მხარის მტკიცებულებებს. მაგალითად, დაცვის მხარეს გადაეცა აუდიოჩანაწერის ასლი, რომელიც ბათიაშვილის საქმეში მთავარ ნივთმტკიცებას წარმოადგენდა.

## საკუთრების უფლების ხელყოფა

ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ადეკვატური კომპენსაცია შეეთავაზებინა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ურბანული რეფორმების ან კერძო საკუთრების განვითარების მიზნით, ჩამოერთვათ ქონება. ქონების უკანონო ჩამორთმევის საქმეების განხილვას სასამართლოები აჭიანურებენ.

2007 წლის იანვარსა და თებერვალში თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ჩამოართვა და დაანგრია მაღაზიები, ჯიხურები და დახლები მეტრო სადგურების მიმდებარე ტერიტორიებსა და სხვა ადგილებშიც. მიზეზი აღნიშნული ობიექტების მიერ ქალაქის იერსახის დამახინჯება იყო. უმეტეს შემთხვევებში საკუთრების მფლობელები იღებდნენ ზეპირ გაფრთხილებას, მაგრამ მათი ქონება მანამდე ინგრეოდა, ვიდრე დაზარალებული მოასწრებდა სასამართლოში საჩივრის შეტანას.

საკუთრების ჩამორთმევის მეორე ტალღა თბილისში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარე რესტორნების მეპატრონეებს შეეხოთ, რომლებმაც „ნებაყოფლობით" გადასცეს ქონება სახელწიფოს უსასყიდლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში რესტორნის მეპატრონეებს დაეკისრებოდათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმის საფუძველზე რომ ყოფილი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს უკანონოდ, კორუფციული გზებით ჩაიგდეს აღნიშნული ქონება ხელში. 2007 წლის აპრილში თბილისში ჩამორთმეული ქონების მეპატრონეებმა საპროტესტო აქცია გამართეს; ისინი აცხადებდნენ რომ ხელისუფლება მათ აიძულებდა, სახელმწიფოსათვის ეჩუქებინათ ქონება.

2007 წლის ივლისში თბილისის ცენტრში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლები პოლიციამ შენობიდან ძალის გამოყენებით გამოასახლა. მერიის შესაბამისი სამსახურები აცხადებდნენ რომ საცხოვრებელი სახლი სამშენებლო ნორმების დარღვევით აშენდა. აღნიშნული შენობა მანამდე დაინგრა, ვიდრე მაცხოვრებლები სასამართლოში სარჩელს შეიტანდნენ. იქ მაცხოვრებლები დარწმუნებულები არიან, რომ მათი საცხოვრებელი სახლი მხოლოდ იმის გამო დაინგრა, რომ ის ტერიტორია ხელისუფლებამ უცხოელ ინვესტორს მიჰყიდა. მოგვიანებით, ინვესტორისაგან მიღებული შეთანხმების პირობები მათთვის სრულიად მიუღებელი და არაადეკვატური აღმოჩნდა. თუმცა, ხალხი აიძულეს რომ ამ პირობებს მაინც დათანხმებოდნენ.

2007 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც სახელწიფო სააგენტოებს უნდა შეეწყვიტა იმ საკუთრების ნგრევა, რომელთა შესახებ დავა კვლავ მიმდინარეობდა და წარმოადგენდა სახელწიფოსათვის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს. ამ დადგენილებამ გავლენა მოახდინა კერძო საკუთრების უფლების დაცვაზე.

## წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები

7 ნოემბრის მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალადობრივ დარბევასთან დაკავშირებით წამყვანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააკეთეს საჯარო განცხადებები. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა და ევრო საბჭომ საქართველოს მთავრობას მოუწოდა გაეუქმებინათ საგანგებო მდგომარეობა და აღედგინათ მედიის თავისუფლება; ევროკავშირის მოწოდება ეხებოდა კონსტრუქციული დიალოგის დაწყებას ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის. ნატოს მიმართვა ეხებოდა კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვასა და აღიარებას; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა შეშფოთება გამოთქვა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენების გამო.

თუმცა, ამ მოვლენებამდე, საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობა გმობდა საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების სფეროში არსებული პრობლემების მიმართ გულგრილობას. რეფორმების გატარების მოწოდებისას ეჭვქვეშ აყენებდნენ იმ მთავრობის საქმიანობას, რომელიც ხელისუფლებაში ვარდების რევოლუციის შემდგომ რეფორმების განხორციელების დაპირებებით მოვიდა; ახალი მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. 2006 წელს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ევროპის სამეზობლო




პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმას; მხარეებმა შეიმუშავეს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი (EDPI) ფინანსური თანამშრომლობისათვის. 2007 წლის ოქტომბერში საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭომ განიხილა ქვეყანაში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების პროცესი; შესაბამისად, ევროკავშირის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის პრინციპულ მნიშვნელობაზე საქართველო-ევროკავშირის მომავალი ორმხრივი თანამშრომლობისათვის.

მათიას იორშმა და კასტრიო ისლამმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებმა, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს „ბოლომდე აღადგინონ ინსტიტუტების დემოკრატიული და ეფექტური საქმიანობა“. ისინი ქვეყანას 2007 წლის სექტემბერში ეწვივნენ და ხელისუფლების მიერ ევროსაბჭოს სტანდარტების დაკმაყოფილებას დადებითი შეფასება მისცეს. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდეს საარჩევნო კოდექსში, სასამართლო და პენიტენციარულ სისტემაში განახორციელონ რეფორმები. 7 ნოემბრის მოვლენების შემდგომ ევროსაბჭოს თანამომხსენებლები საგანგებო ვიზიტით საქართველოს კვლავ ეწვივნენ.

2007 წლის ოქტომბერში წამების წინააღმდეგ ევროპულმა კომიტეტმა (CPT) გააკეთა მნიშვნელოვანი და ცალსახა განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ქვეყანაში შეწყდა პოლიციის განყოფილებებში პატიმართა წამება; თუმცა, გადავსებული ციხეები ძირს უთხრის ყველა მცდელობას, შეიქმნას ჰუმანური პენიტენციარული სისტემა ქვეყანაში.

2007 წლის ოქტომბერში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქართველოზე მომზადებულ დასკვნით ანგარიშში ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო და საუწყებო რეფორმები დადებითად შეაფასა; ამასთან ერთად, მოუწოდა, გაუმჯობესდეს პირობები საპატიმროებსა და წინასწარი დაკავების იზოლატორებში; ხელი შეუწყოს გამოხატვის თავისუფლების დაცვას.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მოკავშირეა და ღიად უჭერს მხარს ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას. ნოემბრის ცნობილ მოვლენებამდე აშშ საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ დარღვევებზე საჯაროდ საუბრის წინააღმდეგი იყო. თუმცა, ღიად მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას რეფორმები გაეტარებინა საკუთრების უფლების დაცვის, ასევე დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის სფეროში და გადაეხედა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის.

**წყარო:** http://www.humanrights.ge



## საგედისწერო თათბირი

**„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ შსს-ში ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით გამართულ თათბირზე, რომელსაც გუბერნატორები და მაღალი თანამდებობის პირები ესწრებოდნენ, საუბარი არ ყოფილა აქციის დარბევის გეგმაზე. გაბაშვილი ამბობს, რომ მაღლაფერიძის ჩვენება პოლიტიკურად არის მოტივირებული. მაღლაფერიძის ჩვენებაში პარლამენტის წევრი გოკა გაბაშვილიც ფიგურირებს, რომელიც იმ დროს კულტურის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. გაბაშვილის თქმით, მსგავსი შეხვედრა, რომელზეც მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი საუბრობს, არ შემდგარა.**



# ბიჭები „ღადაობდნენ“?!

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე ამბობს, რომ 2007 წლის 5 ნოემბერს შსს-ში გამართული თათბირის შესახებ წერილობითი ჩვენება მისცა მაშინდელ სახალხო დამცველს. მისი თქმით, მისი ჩვენება ითარგმნა და გადაეცათ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის, თომას ჰამერბერგს, პიტერ სემნებს და სხვა მაღალი რანგის დიპლომატებს. ყოფილი გუბერნატორი აცხადებს, რომ 8 წლის შემდეგ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ამ საქმეს დაბრუნებოდა.

მისივე განცხადებით, თათბირს მართავდა იმდროინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, მის პირდაპირ იჯდა ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თათბირს ასევე ესწრებოდნენ დათა ახალაია, დავით კეზერაშვილი, კულტურის ყოფილი მინისტრი გოკა გაბაშვილი, სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორი გოგა ხაჩიძე. რაც შეეხება უგულავას, მაღლაფერიძის განცხადებით, უგულავა თათბირზე შედიოდა და გადიოდა, საუბარს ფორმალურად არ დასწრებია.

**„ვანომ, გვეჩქარება, ვეღარავის დაველოდებით, დავიწყოთო. თან უგულავას უთხრა შეთამაშებული ხუმრობით, ზედმეტებმა დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლი, უტიაშვილთან გადიო. გიგი ოთახში წინ და უკან დადიოდა და ღლაბუცობდა. დაიწყო ვანომ, ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ეს მხიარული ნაწილია იმისა, რაც უნდა გითხრათ, ზუსტად ეს სიტყვები გაიმეორა.**

**ახლა კი სერიოზულ ნაწილზე გადავიდეთო და მონოლოგის სახით გვითხრა – „ეს ნაძირლები ძალიან გაბლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. მართალია, დიდი არაფერი ძალა არა აქვთ, მაგრამ აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ხალხი, მაგრამ, ვინც ჩამოვიდა ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა.**

**უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოდ ამ პროცესში, შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას. მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად თირკმელებში, მუცელში... ვინც არ იცის, როგორ – გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან“,** – ასე იხსენებს თათბირის დეტალებს მაღლაფერიძე.

მთავარმა პროკურატურამ წარმოადგინა თათბირზე ვანო მერაბიშვილის მიერ წარმოთქმული ფრაზა – **„გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, ცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება“.**

ვანო მერაბიშვილი თათბირის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა, აცხადებს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ჭერს აარტყა თავი და ამის ზემოთ ის ვეღარ წავა. **„დღეის მერე მისი გზა არის ქვევით. ივანიშვილი საქართველოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის, რა თქმა უნდა, პასუხს აგებს“,** – აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ 4 ნოემბრის თათბირის შესახებ მტკიცებულება საგამოძიებო უწყებას შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილმა უფროსმა ვასილ სანოძემ გადასცა, რომელიც გამოძიებასთან თანამშრომლობს.

ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი იხსენებს, რომ მაშინ მან გაეროს დაფინანსებით რიგაში დაგეგმილი შეხვედრა გადადო, რადგან აღმოჩნდა, რომ ადგილზე უფრო დიდ საფრთხესთან ჰქონდა საქმე.

**„სიტყვიერად მივიღე ეს ინფორმაცია. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი გადავიყვანე სრულ მზადყოფნაში, რათა მონიტორინგი გაძლიერებულიყო და გვქონოდა შესაძლებლობა, რომ ყველა დარღვევა, რაც იმ დროს არსებობდა, დაფიქსირებისა და შესწავლის გარეშე არ დარჩენილიყო. 5 ნოემბერს ეს დოკუმენტი უკვე წერილობითი ფორმით არსებობდა, რომელიც სათარგმნელად იმ დღესვე გადავეცით და 8 ნოემბერს უკვე მაღალი დონის დიპლომატებს გადავეცი. იმ დოკუმენტში ეწერა, თუ როგორ ჩატარდა 4 ნოემბერს თათბირი ვანო მერაბიშვილის კაბინეტში, რომელსაც ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და ძალიან ბევრი მაღალი თანამდებობის პირი ესწრებოდა.**

**ასევე, როგორ მიეცათ პირდაპირი დავალება გუბერნატორებს და მაღალი თანამდებობის პირებს, რომ უნდა დაწყებულიყო დევნა, ცემა, ნარკოტიკების ჩადება და იმ ადამიანების ქონების განადგურება, რომლებიც პოლიტიკურად მოწინააღმდეგე ფიგურებს წარმოადგენდნენ. ინსინუაციები თემაზე, რომ თითქოს, რუსი ოლიგარქი გადატრიალებას ამზადებდა, მოგონილია და ეს ყველაფერი ამ დოკუმენტიდან ჩანს. ძალიან ბევრი მოწმეა, ვინც იმავე დღეს იცოდა ამ ფაქტის შესახებ და სხვა მტკიცებულებებიც არსებობს, რომლითაც ამის დამტკიცება შესაძლებელია“,** – განაცხადა სოზარ სუბარმა.

შეგახსენებთ, რომ სახალხო დამცველმა მოითხოვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც გამოიძიებს 2007 წლის 4 ნოემბერს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული თათბირის მასალებს. თათბირს ესწრებოდნენ მაშინდელი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კუდ-ის ყოფილი თავმჯდომარე დათა ახალაია და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. სუბარის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მზად იყო კომისიისთვის წარედგინა ამ თათბირთან დაკავშირებული მტკიცებულებები, საგამოძიებო კომისია არ შეიქმნა და, შესაბამისად, კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა.

**თამთა ქარჩავა**

## ხალხის აზრი

# შენ რას ფიქრობ, მოქალაქევ?

**მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებას უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოება მსჯელობს, ფიქრობს, ცდილობს გააკეთოს შედარებები უახლესი წარსულიდან და დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია. საერთაშორისო სამართალში არსებობს ე. წ. პრეცედენტი, რომელსაც ბევრი სახელმწიფოს სასამართლო სისტემა იყენებს.**

**ბუნებრივია, რომ ყოფილ პრეზიდენტს ჰყავს მხარდამჭერები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან თავიანთ სიმართლეში. დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ სახელმწიფოს აშენება უსისხლოდ არ შეიძლება.**

**იმათ, სამწუხაროდ, არ იციან, ან არ უნდათ გაიგონ, რომ დღეს XXI საუკუნეა. დღეს ვერცერთი სახელმწიფო ვერ აშენდება შუასაუკუნეობრივი პრინციპებით, დღეს სულ სხვა გამოწვევებია.**

**გთავაზობთ მოქალაქეთა პირუთვნელ მოსაზრებებს, რაც, ფაქტობრივად, ანგრევს სააკაშვილის ადვოკატების მიკერძოებულ პოზიციას, ანგრევს მის 9-პროცენტიანი მხარდამჭერების პათოსს, ანგრევს იმ პრინციპებს, რომლითაც ცდილობდა ექსპრეზიდენტი ახალი ქართველის, ახალი მანქურთების „გამოყვანას“.**



**სანდრო ბრეგაძე (პოლიტიკოსი):**

უსუსური მცდელობაა, რომ პირველი პრეზიდენტის დევნა სააკაშვილის სამართლებრივ დევნას შეადარო, უსუსური მცდელობა კი არა დანაშაულია, სააკაშვილი ზვიად გამსახურდიას შეადარო და ყველა ის პირი, რომელიც ამას შეეცდება, რბილად რომ ვთქვათ, ნაძირალაა. სააკაშვილი თავისი არსით სიგუა-კიტოვან-იოსელიანს წააგავს და მათი სულიერი შვილია, საქართველოს მოღალატეა. კარგად ვიცი, რომ პიარი იმისა, რომ პირველი პრეზიდენტის დევნა სააკაშვილის სამართლებრივ დევნას შეადარონ, ნაცმოძრაობის შტაბში გაიწერა, მაგრამ იმდენად მკრეხელური და მკვდრადშობილი იდეაა, რომ ამაზე ფიქრიც არ ღირს. აღვირახსნილი, უზნეო, კორუმპირებული, მიტინგების დამრბევი, ახალგაზრდების მკვლელი, მწამებელი, დიქტატურის დამმყარებელი, თავისუფლების წამრთმევი ხელისუფლების გაიგივება საქართველოსთვის თავისუფლების მომტან ხელისუფალთან, უზნეობა და ერის დაცინვაა, ამიტომ, ჩუუ! გაჩუმდით და დადუმდით ნაძირალა ნაცებო!

**ია მეტრეველი (ბუტა რობაქიძის დედა):**



ძალიან მოხარული ვარ, რომ უკვე სწრაფი ტემპებით დაიწყო სამართლიანობის აღდგენის პროცესი. დიდი იმედი გამიჩნდა, რომ ჩემი შვილის და ასევე სხვა გახმაურებული საქმეები სრულფასოვნად იქნება გამოძიებული და ყველა დამნაშავე საკადრისად დაისჯება. ჩემი ინფორმაციით, ბუტას, ასევე სანდრო გირგვლიანის, ზურა ვაზაგაშვილის საქმეების გამოძიებაში პროკურატურა უცხოელი ექსპერტების ჩართვასაც გეგმავს. საერთაშორისო ექსპერტებს ზურა ვაზაგაშვილის მამამ იური ვაზაგაშვილმა მიმართა. როგორც ვიცი, პროკურატურა ამაზე თანახმაა, რაც, კიდევ უფრო მიმყარებს იმის მოლოდინს, რომ სიმართლე დროულად დადგინდება, – გვითხრა ია მეტრეველმა.

**დათა თვალაძე (ჟურნალისტი):**

სოციალურ ქსელებში უკვე დაიწყო ე. წ. „ქართული ტოლერანტობის“ გადმოფრქვევა. „ვინმეს დაჭერა როგორ უნდა გამეხარდეს“, „მოინანიოს და ვაპატიებთ“ და ა. შ. მსგავსი სისულელეები.

პრეზიდენტყოფილი რა მუხლებითაც უნდა გასამართლდეს, ამაზე იურისტები იმსჯელებენ. მე პირადად მას ბრალს ვდებ საქართველოს მორალური, იდეური, სახელმწიფოებრივი დეგრადაციის მცდელობაში. მე მას ბრალს ვდებ იმ დანაშაულში, რომელიც, სამწუხაროდ, სისხლის სამართლის კოდექსით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა მუხლის თავი და თავი მიხეილ სააკაშვილია თავის ბანდასთან ერთად. ის რომელიმე კონკრეტული მუხლით არ უნდა გასამართლდეს, მას ბრალი უნდა დაედოს იმ ზნეობრივ დანაშაულში, რაც მან ჩაიდინა, სჩადის და რასაც მისი კრიმინალური დაჯგუფება დღესაც აგრძელებს.

№149. ხუთშაბათი, 31 ივლისი, 2014 წელი.

# ძველ ხიბულაში სროლებამდე და სროლების შემდეგ



**მიტოვებული პატარა სახლი სამეგრელოს ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში. სწორედ აქ, ადგილობრივი კარლო ღურწკაიას საცხოვრებელში 1993 წლის 30 დეკემბრის ღამეს მოიკლა თავი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. ასეთია ოფიციალური ვერსია. მაგრამ ამისა საქართველოში ძალიან ცოტას თუ სჯერა. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება მართლაც საიდუმლოებითაა მოცული, ხოლო იმ ადამიანების ჩვენებები, რომლებიც იმ საბედისწერო ღამეს გადაყენებულ პრეზიდენტთან ატარებდნენ, მხოლოდ აძლიერებს ეჭვებს. მაშ ასე, კარლო ღურწკაიას სახლის ერთ-ერთ ოთახში დასაძინებლად წასვლას აპირებდნენ ზვიად გამსახურდია და მისი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი. გვერდით ოთახში ფხიზლად არის ორი დამცველი, მაგრამ შემდეგ ისინიც წავლენ დასაძინებლად.**

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, შეიარაღებულ მეამბოხეთა ჯგუფი გამსახურდიას მეთაურობით მარშით გაბედულად მიდიოდა თბილისისაკენ, სადაც მოკალათებულიყო საზიზღარი „სამხედრო ხუნტა“, რომელმაც ორი წლის წინათ ის ხელისუფლებას ჩამოაშორა. მაგრამ დღეს ზვიადის „არმია“ მიმოფანტულია, სხვათა შორის, რუსი ადმირალის ედუარდ ბალტინის არც თუ დახმარების გარეშე, თავად იგი კი ერთ მუჭა ერთგულ ადამიანებთან ერთად დახეტიალობს სამეგრელოს მიყრუებულ ადგილებში, ემალება დაუნდობელ მდევნელებს, მის კვალდაკვალ რომ მოდიან. რა იქნება ხვალ? კარლო ღურწკაიას სახლის მცხოვრებთაგან ეს არავინ იცის, მაგრამ ის, რაც მათ 31 დეკემბრის დილით ნახეს, გამაოგნებელი გახდა. საწოლში – მკვდარი ზვიად გამსახურდიაა პისტოლეტ „სტეჩკინით“ ხელში და ტყვიით თავში. ვინ ისროლა? ყოფილი პრეზიდენტის დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი ამბობს, რომ სახლში არავინ უცხო არ ყოფილა. მაშასადამე, ზვიადმა თავი მოიკლა, მაგრამ... მცველი სოსო ლორია დაჟინებით ამტკიცებს, რომ ზვიადის თავში იყო ორი ტყვია, და არა ერთი. ბესარიონ გუგუშვილს კი, რომელიც ზვიადთან ერთ ოთახში იყო ღამით, საერთოდ სროლის ხმა არ გაუგონია, თუმცა, შეგახსენებთ, რომ ზვიადი მუცელში ძლიერ ტკივილებს უჩიოდა... ერთი სიტყვით, მორიგი საიდუმლო.

თანამედროვე საქართველოში ზვიად გამსახურდიას პიროვნებას, უდავოდ, განსაკუთრებული ადგილი უკავია. როგორც ამ ცოტა ხნის წინათ ერთმა ჟურნალისტმა შენიშნა, ძნელია ქვეყნის უახლეს ისტორიაში მონახო სხვა ისეთი წინააღმდეგობრივი ფიგურა, რომელიც ერთდროულად იწვევდეს ხალხში ისეთივე დიდ სიყვარულს და ისეთსავე ზიზღის ზღვას. როგორც იგივე კოლეგა წერს, ზვიადისადმი ზიზღის გამო ხვრეტდნენ მშვიდობიან მიტინგებს, აწამებდნენ მის მიმდევრებს, თამამად უყურებდნენ სიკვდილს თვალებში, იტანდნენ აუტანელ წამებას... აი, თითქოსდა, ურთიერთგამომრიცხავი პარადოქსები...

რა უნდა თქვა, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ყოველმხრივ არაორდინალური პიროვნება იყო, და არ არის გასაკვირი, რომ მასთან ჩემი რამდენიმე შეხვედრა სამუდამოდ ჩაიჭედა ჩემს მეხსიერებაში.

გარეთ უკვე სექტემბერი იყო, მაგრამ იმ მგზნებარე 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების გამოძახილი მუდამ გვახსენებდა თავს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად. მშვიდობიანი დემონსტრაციის დაუნდობელმა დარბევამ, რასაც 18 კაცის სიცოცხლე შეეწირა, საქართველოში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების ძლიერი აფეთქება გამოიწვია. მთელი ხმით გვახსენებდნენ თავს სხვადასხვაგვარი პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები. გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“, ბუნებრივია, ეხმაურებოდა დროის გავლენას და აცნობდა თავის მკითხველებს ახალ გაერთიანებათა იდეოლოგიურ პლატფორმებს. და აი, მოვიდა ზვიად გამსახურდიას რიგიც. გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა ევგენი კრავჩუკმა მიიღო დავალება – წასულიყო საქართველოს ამ რადიკალური პოლიტიკური ორგანიზაციის – სახელწოდებით „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ – ლიდერთან შეხვედრაზე.

რასაკვირველია, ზვიადთან შეხვედრისათვის ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილით ვემზადებოდით. გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“ მაშინ საქალაქო კომიტეტის ორგანო იყო. ზვიადი კი მტკიცე ანტიკომუნისტი იყო, და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ლანძღავდა კომუნისტურ პარტიას, მკვეთრად ესხმოდა მას თავს.

## 30 ვერცხლად გაყიდული „საქართველოს სულიერი მისია“



რასაკვირველია, ჩვენ კრიტიკის წინააღმდეგი არ ვყოფილვართ, თავადვე ვცდილობდით, გვეჩვენებინა აზრებისა და იდეების თავისუფალი გამოთქმის მაგალითი, ვისწრაფოდით, გაგვეხადა გაზეთის გვერდები მწვავე დისკუსიების არენა, თუმცა, რასაკვირველია, ლანძღვისა და შეურაცხყოფის გარეშე, ქცევის ელემენტარული ნორმების დაცვით. ზვიადი კორესპონდენტს მეტად კეთილგანწყობით შეხვდა.

– ინტერვიუ თქვენი გაზეთისთვის გინდათ? კეთილი. ოღონდ მიპასუხეთ შეკითხვაზე: როგორ უყურებს თქვენი რედაქტორი ქართულ ეროვნულ მოძრაობას?

როგორც ჩანს, კორესპონდენტის პასუხმა დააკმაყოფილა გამსახურდია. მან ჯიბიდან ქაღალდის რამდენიმე ფურცელი ამოიღო და თქვა:

– ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს და ვისაუბრებთ, მაგრამ ჯერ მინდა, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდოს აი, ეს მასალა. სთხოვეთ ამის შესახებ თქვენს რედაქტორს.

ასეთი თხოვნით დაბრუნდა რედაქციაში ჩვენი კორესპონდენტი.

რასაკვირველია, სტატია, რომელიც საქართველოში ეროვნებათშორისი ურთიერთობების მწვავე თემას შეეხებოდა, იყო სადავო. მაგრამ ყოველი პოლიტიკური მოძრაობისა და მისი ლიდერის უფლება ღიად წარმოაჩინოს თავისი შეხედულებები, დაიცვას თავისი პოზიცია, იმ დროისათვის სულ უფრო და უფრო მტკიცედ მკვიდრდებოდა ჩვენს შეგნებაში. ერთი სიტყვით, გადაწყვეტილება – დაგვებეჭდა ზვიად გამსახურდიას სტატია – მივიღეთ. მაგრამ ადგილი მისთვის მე გამოვყავი სადისკუსიო კლუბის რუბრიკაში. მასალის გამოქვეყნებამდე მე ის კიდევ ერთხელ წავიკითხე ყურადღებით, შევიტანე რაღაც ცვლილებები:ზვიადის სტატია შეიცავდა მთელ რიგ მკვეთრ გამონათქვამს, რომლებიც მთლად ჩვეულებრივი არ იყო ჩვენი მაშინდელი აუდიტორიის სმენისათვის. ჩემი სმენისათვის. ახლა სტატიისთვის ვიზა უნდა მიეცა თავად ავტორს. შევხედე საათს. ზვიადი იგვიანებდა. მოულოდნელად ჩემი კაბინეტის კარი რედაქციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქალმა გააღო: „თქვენ მისაღებში დიდი ხანია გელოდებათ ბატონი ზვიადი...“ გამოვედი კაბინეტიდან:„რატომ არ შემოდიხართ?“ აღმოჩნდა, რომ გამსახურდიას მოსვლამდე ჩემმა თანამშრომელმა რამდენიმე ხნით დატოვა თავისი პოსტი რედაქტორის კაბინეტთან. მისაღებში არავინ იყო, ვიზიტიორი კი ნებართვის გარეშე არ შემოვიდა. დელიკატურობა? შემდეგ ძალიან ხშირად ვიგონებდი და დღემდე მახსოვს ეს შემთხვევა. ამ სამი წლის განმავლობაში ჩემ კაბინეტში რა და რა ჯურის ხალხი არ ყოფილა, ზოგჯერ ნებართვის გარეშეც შემოდიოდნენ. ზოგჯერ ჯგუფად შემოიჭრებოდნენ ხოლმე, ოც-ოცი კაციც კი. ამ ფონზე ზვიად გამსახურდიას ქცევა აშკარად გამოირჩეოდა. განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ იმ ადამიანის მაშინდელ რეპუტაციას, რომლის ერთი გამოჩენის დროსაც კი დაუყოვნებლივ იხსნებოდა ყველა კარი.

ზვიადმა დაიწყო მასალის კითხვა და უმალვე აღმოაჩინა მასში შეტანილი შესწორებები. მან მითხრა: „თუ რაიმე მიზეზის გამო არ გამოაქვეყნებთ სტატიას თავდაპირველი სახით, მე მას სხვა რედაქციას მივცემ“. რა უნდა მეთქვა, საქმის ამგვარი შემოტრიალება სრულიადაც არ მაძლევდა ხელს. ძნელი არ იყო გვევარაუდა, თუ რა კომენტარებს გააკეთებდნენ ხვალ ქუჩაში, თუ მე ზვიადს ასე უკმაყოფილოდ გავუშვებდი. ჩვენ კვლავ დავიწყეთ მასალის კითხვა, კვლავ დაკვალ ვიხილავდით მომენტებს, რომლებიც ჩემში შეკითხვებს იწვევდა. ვიტყვი პირდაპირ: ზვიადი არც ისეთი უკომპრომისო აღმოჩნდა, როგორც მის შესახებ ლაპარაკობდნენ. ახლა სასაცილოა, გაიხსენო, მაგრამ მე, მაგალითად, მეხამუშა ის, რომ ზვიადი გორბაჩოვს „მეფე-ბატონს“ უწოდებდა, და მე ვთხოვე მას, ამოეღო ეს ფრაზა. ის ოილად დამთანხმდა. მაგრამ სტატიაში იყო სხვა მისთვის პრინციპული მომენტები, და ის მტკიცედ იდგა ამაზე. ასე, სიტყვა-სიტყვით ნელა მივდიოდით ბოლოსაკენ. ბუნებრივია, მეც მივდიოდი დამთობაზე. გარედან, შეიძლება, ეს ჰგავდა ვაჭრობას მაღაზიაში, სადაც პერსპექტიული მყიდველი შევიდა: მეპატრონეს არ სურს, გაუშვას იგი, შესასყიდი საგნის გარეშე, მაგრამ საკუთარი ინტერესების დაცვაც აუცილებელია.

ბოლოს, ჩვენ დავამთავრეთ საუბარი და დამშვიდობება დავიწყეთ. ზვიადმა კი მთხოვა ქაღალდის ფურცელი და ჩემს შესახებ პატარა წერილი დაწერა:

„ბატონ ანასტასიადის. გთხოვთ საავტორო ჰონორარის ანგარიშზე მომცეთ გაზეთის ორასი ეგზემპლარი. ზვიად გამსახურდია. 11.IX. 1989 წ.“

იმ დღეს, როდესაც ზვიად გამსახურდიას სტატია გამოქვეყნდა, მაშინდელ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დამირეკა და უკმაყოფილება გამოთქვა, რომ პარტიულ გაზეთში რადიკალური ოპოზიციონერის მასალა დაიბეჭდა. „ჩვენ თვალებს ვხუჭავთ ამგვარ სტატიებზე ახალგაზრდულ პრესაში, გაზეთებში „ლიტერატურული საქართველო“, „სახალხო განათლება“, მაგრამ თქვენ ხომ პარტიული გაზეთი ხართ?! ასეთი რამ ჩვენთან ჯერ არ მომხდარა“, – მისაყვედურა მან. მაგრამ ის დრო უკვე აღარ იყო, ზვიად გამსახურდიას სტატიის ჩვენს გაზეთში დაბეჭდვის ისტორიას რაიმე სხვა შედეგები არ ჰქონია. ჩემთან კი საყვედურის გამომთქმელმა პარტიულმა ჩინოვნიკმა შემდგომ ზვიად გამსახურდიას მთავრობაში მაღალი სახელმწიფო პოსტი დაიკავა.

ზვიად გამსახურდიასთან მეორე შეხვედრა წლისა და რამდენიმე ხნის შემდეგ შედგა. ამ რდოის განმავლობაში საქართველში ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა, რომლებმაც ძლიერ შეცვალეს მისი სახე. 1990 წლის მარტისათვის დაინიშნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დეპუტატობის კანდიდატად დამასახელა. დაიწყო ძალიან რთული და არაჩვეულებრივი დღეები. საარჩევნო უბანი, სადაც მე ვიყავი რეგისტრირებული, ძალიან დიდ ტერიტორიაზე იყო: ვარკეთილის მასივი, ვაზისუბანი, აეროპორტის ტრასა მისი საცხოვრებელი კორპუსებით, ალექსეევკის დასახლება, სადაც დისლოცირებული იყო დიდი სამხედრო ნაწილი– ჩამოყალიბდა მხარდამჭერი ჯგუფი, დაასახელეს ნდობით აღჭურვილი პირები. მოსახლეობასთან შეხვედრები იწყებოდა დილით ადრე და მთავრდებოდა გვიან ღამით. ეს ყოველივე ბევრ ძალას, ენერგიას, დროს, ნერვებს ითხოვდა. რედაქციაში უშუალო მუშაობა დროებით დავივიწყე, მით უმეტეს, რომ კონკურენტები კვალში მიდგნენ: პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამგე ნოდარ ჯანბერიძე, გამსახურდიას მთავრობაში მომავალი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, მომავალი ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი მისსავე მთავრობაში მურმან ომანიძე და სხვები. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ჩემთან მოვიდა ომანიძის ხალხი და მთხოვა, მომეხსნა ჩემი კანდიდატურა, მაგრამ, რასაკვირველია, უარი ვუთხარი. სამწუხაროდ, მომესინჯა ჩემი ძალები უშუალოდ არჩევნებზე კონკურენტებთან, მე მაინც ვერ შევძელი: 1990 წლის მარტის არჩევნები არ შემდგარა, ვინაიდან ოპოზიციამ ჩაშალა. გამსახურდიამ მომავალ არჩევნებს კომუნისტური ნომენკლატურის მხრიდან რევანშის მცდელობა უწოდა და კომპარტიის მაშინდელ ხელმძღვანელს გივი გუმბარიძეს მიმართა მოთხოვნით – არ ჩატარებულიყო არჩევნები. მას კი ძალა არ ეყო, წინააღმდეგობა გაეწია ამ ულტიმატუმისთვის. ვფიქრობ, რომ ზვიადმა ფხიზლად შეაფასა თავისი მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების მაშინდელი ძალები და მიხვდა, რომ ჯერ კიდევ არ შეუძლია, დაამხოს კომუნისტები. სამაგიეროდ იმავე წლის 28 ოქტომბერს კოალიცია „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ გავიდა უმაღლეს საბჭოში დიდი უპირატესობით (68 პროცენტი) და ჩამოყალიბდა მთავრობა.



**ვადიმ ანასტასიადი,**
**გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი**

**(დასასრული იქნება)**

## მეცნიერებათა აკადემია



# მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოება

***საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს ერთობლივი ძალისხმევით, რამდენიმე დღის წინათ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა ღია კრება, რომელიც მიეძღვნა დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველაზე აქტუალურ და სასიცოცხლო პრობლემას — საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და სასურსათო უსაფრთხოებას.***

კრება შესავალი სიტყვით გახსნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ**.

„საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები“. — ასეთი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ **ნოდარ ჭითანავას** მოხსენების თემა.

კრებაზე განხილული იყო — „საქართველოში მცენარეთა დაცვა — ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ძირითადი საშუალება“ — **გურამ ალექსიძე** (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); „სოფლის მეურნეობის განვითარება — როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი“ — **დავით გალეგაშვილი** (სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); „საქართველოში სურსათის წარმოების განვითარებაში სამეცნიერო ცენტრების როლის შესახებ“ — **ლაშა გოცირიძე** (აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი); „კვების მრეწველობის ტექნოლოგიების განვითარების ამოცანები“ — **ნუგზარ ბაღათურია** (კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); „საქართველოში მარცვლეული კულტურების განვითარების პერსპექტივები“ — **პეტრე ნასყიდაშვილი** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი); „საქართველოში მიწის ფონდის ეფექტური მართვის პრობლემები — როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი“ — **გელა ღლიღვაშვილი** (პროფესორი); „საქართველოში სამელიორაციო სისტემების განვითარების პერსპექტივები“ — **რამაზ ხუროძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); „აჭარის სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე“ — **გურამ პაპუნიძე** (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსი); „საქართველოში კვების პროდუქტების წარმოების (მოსახლეობის უზრუნველყოფის) ისტორიული მიმოხილვა“ — **გიორგი გოცირიძე** (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი); „სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზი“ — **ლეო ჩიქავა** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); „ბავშვთა კვების პროდუქტების ხარისხის პრობლემები“ — **ქეთევან ნემსაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); „საქართველოს სოფლის მეურნეობის საინჟინრო მომსახურების სრულყოფის საკითხები“ — **რევაზ მახარობლიძე** (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); „ბიოტექნოლოგიების როლი კვების პროდუქტების წარმოების განვითარებაში“ — **გიორგი კვესიტაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი).

ზემოჩამოთვლილი გამოსვლებიდან რამდენიმეზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **გიორგი კვესიტაძემ** ვრცლად განიხილა XXI საუკუნის ბიოტექნოლოგიური გამოწვევები და საქართველოს მეცნიერების ამოცანები, კლასიკური და თანამედროვე ბიოტექნოლოგიების განვითარების თავისებურებები. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოში 5100 სახეობის მცენარეა, მათ შორის 1000 ენდემური, ასევე ალპებში გავრცელებული 4500 სახეობის მცენარიდან 350 ენდემური ჯიშისაა. სწორედ ეს არის ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნების უნიკალური ხასიათი. იგი შეეხო აგრეთვე გენმოდიფიცირებული პროდუქტების წარმოების მეცნიერულ და ორგანიზაციულ ასპექტებს. მან მიზანშეწონილად მიიჩნია ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამულ რეგულირებაზე გადაყვანა.

**ქეთევან ნემსაძემ** ისაუბრა ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემებზე, კერძოდ, იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დედა-შვილის სწორი კვება, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვთა ჯანმრთელობას და, უპირველესად, მათი კვების ორგანიზაციას. მან ონლაინპრეზენტაციით წარმოადგინა ის მავნე შედეგები, რაც მოჰყვება სწრაფ კვებას „Fast-Food“ ობიექტებში და ა. შ. სოფლის მეურნეობის მონისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა აღნიშნა ის კომპლექსური ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. კრებას ესწრებოდნენ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე და პარლამენტის წევრი გოგი თოფაძე.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე რთული სოციალური და ეკონომიკური პროცესების ფონზე სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განვითარება დროის მოთხოვნებს ჩამორჩა, დაბალია განვითარების ტემპები, არარაციონალურად გამოიყენება რესურსები. სოფლად დემოგრაფიული ვითარება რთულდება. ქვეყანაში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე და დაკავშირებულია მაღალ რისკებთან, შეშფოთებას იწვევს იმპორტული სურსათის დაბალი ხარისხიც. ამასთან, სასურსათო პროდუქცია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი არ არის.

იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისთვის გატარებული ღონისძიებანი პოზიტიურ ფონს ქმნის და გარკვეულწილად ხელს უწყობს მდგომარეობის გაჯანსაღებას, ეს საკმარისი არ არის დარგის სტაბილური განვითარებისათვის. აუცილებელია თანამედროვე მეცნიერების მიღწევების საფუძველზე შემუშავდეს დროის ადეკვატური ღონისძიებები და განხორცილდეს მიზნობრივი პროგრამები. მთავარია, არსებული რესურსები და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით შექმნილი შესაძლებლობები რაციონალურად იქნას გამოყენებული. კრებამ მიიჩნია, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების რთული, მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი პროცესის სახელმწიფოებრივი ინტერესებით რეგულირება მოითხოვს სახელმწიფოს, მეცნიერების და ბიზნესის კოორდინაციას.

დასასრულ, კრებაზე წარმოდგენილი მოხსენების ავტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ნოდარ ჭითანავამ** ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

**— „ღია კრებას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, უწინარესად იმიტომ, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიასა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად პირველად ჩაატარა გაერთიანებული კრება, რომელიც მიეძღვნა ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე უმთავრესს, — მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემას. კრებამ პრინციპულად შეაფასა სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩამორჩენის მიზეზები და მოითხოვა, შემუშავდეს 2020 წლამდე პერიოდისათვის დარგის კომპლექსური განვითარების პროგრამა, რომელშიც აისახება ღონისძიებანი იმპორტშემცვლელი პროდუქციის და საექსპორტო პროდუქციის წარმოების ამაღლებისათვის, რათა მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის რისკები შემცირდეს. დღეს საქართველოში მოხმარებული სურსათის 75-80% შემოტანილია.**

**კრებაზე განსაკუთრებული სიმწვავით დადგა მიწის საკითხი. ქვეყანაში მიწის ბალანსი 2005 წლიდან არ დგება. მიწის ნაყოფიერების ღონისძიებები არ ხორციელდება. მიწის კოდექსი და კადასტრი დამუშავებული არ არის. ერთი სიტყვით, მიწას არაეფექტურად ვიყენებთ. პირველ რიგში საჭიროა, მიწათსარგებლობაში სახელმწიფო წესრიგი დამყარდეს. მიწა უცხოელზე არ უნდა გაიყიდოს. მიწის მართვის ერთიანი სამსახური უნდა ჩამოყალიბდეს და იგი უნდა ექვემდებარებოდეს პრემიერ-მინისტრს ან პარლამენტს.**

**კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა მეცნერთა ჯგუფი, რომელიც კრებაზე წარმოდგენილი მოსაზრებების შეჯერებით შეიმუშავებს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესების პოზიტიური ფონი, იმედის მომცემია. სახელმწიფოს სწორად აქვს გააზრებული სასურსათო პრობლემის სიმწვავე და ისიც აქვს გაცნობიერებული, რომ მათი გადაწყვეტა მისი აქტიური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.**

**კრების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, რომ ერთხელ კიდევ დადასტურდა საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის სიცოცხლისუნარიანობა და ქართველი მეცნიერების მზადყოფნა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის აღმშენებლობაში“.**

**ნათია ვადაჭკორია**

## ალიანჩალიანი

### რა სახელს შეუსაბამებენ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს?

**არსებობს მოსაზრება, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სახელი შეეცვალოს და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სახელის ანალოგიური გახდეს.**

**ამის თაობაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გახდა ცნობილი. კერძოდ, ე.წ. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე მსჯელობისას გადაწყდა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალების განადგურების კომისიაში პარლამენტის თავმჯდომარის ნაცვლად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე შევა.**

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ სხდომაში მონაწილეებს შესთავაზა, რომ კანონში კომისიის ზუსტი სახელწოდება არ დაფიქსირდეს, რადგან არ არის გამორიცხული, სამომავლოდ მისი შეცვლა.**

### ასოცირების შეთანხმება 2014 წლის პირველი სექტემბრიდან დროებით ამოქმედდება

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის საბჭოს გენერალური სამდივნოსგან ოფიციალური ნოტა გადმოეცა, ევროკავშირის მხრიდან ასოცირების შეთანხმების ნაწილების დროებითი გამოყენებისთვის აუცილებელი პროცედურების დასრულების თაობაზე. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტიდან აცნობეს, თავის მხრივ საქართველოს საგარეო უწყებამ ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოს საქართველოს მხარის ოფიციალური შეტყობინება ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლისთვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების თაობაზე 2014 წლის 25 ივლისს გადასცა.**

**შესაბამისად, ევროკავშირის პროცედურის მიხედვით, საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შეთანხმების 431-ე მუხლის თანახმად, შეთანხმების კონკრეტული ნაწილების დროებითი გამოყენება დაიწყება 2014 წლის 1 სექტემბერს.**

**ამის გათვალისწინებით, ძალაში შევა ასოციირების შეთანხმების დაახლოებით 80 %, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით.**

**ინტერპრესი**

*სახალხო დამცველთან შექმნილმა საზოგადოებრივმა საბჭომ, რომელიც ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგებს სწავლობს, მუშაობა, თითქმის, დაასრულა და მასალების რეაგირებისთვის გამოძიებას გადასცემს. რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად საზოგადოებრივმა საბჭომ გამოკითხა არაერთი პირი, მათ შორის, დაზარალებულთა ოჯახის წევრები, ვისაც, შესაძლოა, ჰქონოდა ინფორმაცია 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ. პირველადი შესწავლილი შედეგების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში დასმული კითხვები კვლავ ლეგიტიმური და გამოძიების მიერ პასუხი ამ დრომდე გაუცემელია.*

*სპეცოპერაციის დროს დაზარალებული პირების ოჯახის წევრებს კვლავ აქვთ მრავალი ლეგიტიმური და ამ დრომდე პასუხგაუცემელი კითხვები. ამ დრომდე არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა სპეცოპერაციის დაგეგმვისა და შესრულების პროცესი, ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლობა და ლეგიტიმურობა. თუმცა, ამ კითხვებზე პასუხი საგამოძიებო უწყებას ამ დრომდე არ გაუცია.*

*შეგახსენებთ, რომ ლაფანყურში შსს-მ ანტიტერორისტული სპეცოპერაცია 28 აგვისტოს დაიწყო. სპეცოპერაციის ოფიციალურ მიზეზად ლაფანყურიდან 5 ახალგაზრდის გატაცება დასახელდა. შსს ირწმუნებოდა, რომ შეიარაღებულმა ჯგუფმა ახალგაზრდები მძევლებად აიყვანა და მათ გასანთავისუფლად სპეცოპერაცია ჩატარდა. ოფიციალური ინფორმაციით, ლიკვიდრიებულია 11 პირი, მათგან ორი, 22 წლის ასლან მარგოშვილი და 26 წლის ბაჰაუდინ ალდამოვი საქართველოს მოქალაქეები არიან, დანარჩენები კი — რუსეთის მოქალაქეები. გარდაცვლილებს შორის იყვნენ შსს-ს ორი თანამშრომელი და სამხედრო ექიმი.*

*ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეზე გამოძიებას შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი აწარმოებს. კითხვაზე, იკვეთება თუ არა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ბრალეულობა და რა ეტაპზეა გამოძიება, შსს-დან პასუხი ვერ მივიღეთ. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება კვლავ 144-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რომელიც მძევლად ხელში ჩაგდებას ითვალისწინებს.*

*თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას მოჰყვა შეიარაღებული დაჯგუფების წევრებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა სიცოცხლის ხელყოფა, სახალხო დამცველი თვლის, რომ აუცილებელია გამოძიების ფარგლებში შეფასდეს სამართალდამცავი პირების მიერ ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლობა, მართლზომიერება და პროპორციულობა.*

# როდის მივა გამოძიება ლოგიკურ დასასრულამდე?

## საზოგადოებრივმა საბჭომ ლაფანყურის საქმეზე მოკვლევა დაასრულა



სახალხო დამცველის ანგარიშით ირკვევა, რომ ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფთან უშუალო კავშირი ჰქონდათ შს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძეს, შსს-ს მაღალჩინოსნებს სანდრო ამირიძეს და ზურაბ მაისურაძეს. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების თხოვნით, 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და ჩეჩენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებთან. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ძალოვანი უწყებები ჩეჩენ მეომრებს ჰპირდებოდნენ ე.წ. „კორიდორს“ ჩეჩნეთში გადასასვლელად, საქართველოში წვრთნას, აღჭურვას და ჩეჩნეთში გადასვლისთვის ყოველგვარი პირობების შექმნას.

შესაბამისად, მარტიდან დაიწყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩეჩნების ჩამოსვლა. მათთვის თბილისში, საბურთალოს რაიონში დაიქირავეს ბინები. შსს-ს მაღალჩინოსნების დაპირების მიხედვით, ჩეჩნეთში ყოველთვიურად დაახლოებით 50-მდე მებრძოლი უნდა გადასულიყო.

სახალხო დამცველისთვის მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ჩეჩნეთში საომრად გადასვლის იმედით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში დაახლოებით 120 ჩეჩენი ჩამოვიდა. ჩამოსულ ჩეჩნებს აეროპორტში ხვდებოდნენ და კონსპირაციულ ბინაში გადაჰყავდათ შსს-ს მაღალჩინოსნებს. ამ მებრძოლებს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებმა გაუფორმეს იარაღი, სხვა საჭირო დოკუმენტები და ნივთები. ამავე წყაროს ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლები დაყვეს ჯგუფებად და წვრთნას გადიოდნენ თბილისის მახლობლად მდებარე ვაზიანისა და შავნაბადას სამხედრო ბაზებზე.

როგორც ირკვევა, ე.წ. სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის მიერ გამოყოფილი ე.წ. „პიკაპებით“ ლაფანყურში შევიდა ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფი და თან შეიტანეს ჯგუფისთვის საჭირო შეიარაღება, საკვები და სხვა საჭირო ნივთები. ჩეჩენი მებრძოლები ელოდებოდნენ ნებართვას ჩეჩნეთში გადასვლის შესახებ. პარალელურად, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სასაზღვრო და სპეციალური დანიშნულების ძალების რაზმები ვერტმფრენებით გადასხეს. მიზანი ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფის ჩრდილოეთის მიმართულებით გადასვლის აღკვეთა იყო.

შეპირებული „კორიდორის“ მიცემაზე შეიარაღებული დაჯგუფების წევრებს უარი უთხრეს და ჩეჩენ მებრძოლებს მოსთხოვეს იარაღის ჩაბარება. ჩეჩენმა მებრძოლებმა ლაფანყურის ხეობაში იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს, მოითხოვეს პანკისში დაბრუნება და მხოლოდ პანკისში დაბრუნების შემდეგ გამოაცხადებდნენ თანხმობას იარაღის დაყრაზე, რასაც საპასუხოდ მოჰყვა ანტიტერორისტული ოპერაცია, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლი და საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები.

ირკვევა, რომ ოპერაციისას გარდაცვლილი შეიარაღებული ძალების თანამშრომლები ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფს ლაფანყურში გადასვლის პირველივე დღიდან ახლდნენ.

სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ჩეჩენი მებრძოლების ცხედრები აეროპორტის ტრასის სიახლოვეს მდებარე უპატრონოთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა მშობლებისა და მათი ნათესავების ინფორმაციით, შს მინისტრის მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ მათ სთხოვა, რომ, თუკი გამოჩნდებოდნენ ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს ცოცხლად გადარჩენილი ჩეჩენი მებრძოლები, ისინი დაკავშირებოდნენ მას, ვინც ამ მებრძოლების საზღვარზე უსაფრთხოდ გადაყვანის ვალდებულებას კისრულობს ამავე წყაროს ინფორმაციით, ეს ჯგუფი მოგვიანებით მართლაც შსს-მ გააცილა ვალეს სასაზღვრო პუნქტამდე.

შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე დაიკითხა. იგი საქმის დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა, „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ის იყო ერთადერთი, ვისაც კონფლიქტი მოუვიდა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელობასთან, იმ მოტივით, რომ ღონისძიება არ დაწყებულიყო.

ამასთანავე ლორთქიფანიძე ლაფანყურის მოვლენებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილ ფაქტებს აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ ანგარიშში ასახული განცხადებები ახალი ხელისუფლების მხრიდან ძველი ხელისუფლების მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირდება.

**„ამ თემაზე მეც დამკითხეს, ამირიძეც და მაისურაძეც. რა ინფორმაციაც გვქონდა, ყველაფერი ვუთხარით. საპირისპიროდ ატრიალებენ ყველაფერს და ისე არ იძიებენ, რაც სინამდვილეში იყო. რადგან წინა ხელისუფლებაში ვმუშაობდით, ცდილობენ, სხვა რაღაც გამოიყვანონ და არა ის, რაც სინამდვილეა. მე, ამირიძე და მაისურაძიე კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაგვკითხეს, სადაც გვითხრეს, რომ სულ სხვა ინფორმაცია ჰქონდათ ლაფანყურის მოვლენებთან დაკავშირებით.**

**რომ დაგვკითხეს, გვითხრეს, კიდევ კარგი გავარკვიეთ, რადგან ჩვენ სხვანაირი ინფორმაცია გვქონდა და ახლა სხვანაირად იკვეთებაო. მე როგორ უნდა ჩამომეყვანა და დამეხოცა ჩეჩნები? მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც კონფლიქტი მოუვიდა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელობასთან, რომ ღონისძიება არ დაწყებულიყო. 5 წუთიდან 5 საათამდე გავწელე დრო - თვითონვე ჩეჩნები და ქისტები მივუყვანე, რომ გაერკვიათ სინამდვილეში, რა იყო და როგორ იყო“, —** განაცხადა გია ლორთქიფანიძემ.

2013 წლის 22 ოქტომბერს სახალხო დამცველის ხელმძღვანელობით შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭო. საბჭოს მიზანი იყო, ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტების სრულყოფილი შესწავლა და დოკუმენტირება. რამდენიმე თვის მუშაობის შედეგად, საზოგადოებრივმა საბჭომ გამოკითხა არაერთი პირი, მათ შორის, დაზარალებულთა ოჯახის წევრები, ვისაც შესაძლოა, ჰქონოდა ინფორმაცია 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ. პირველადი შესწავლილი შედეგების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში დასმული კითხვები კვლავ ლეგიტიმურია და გამოძიების მიერ პასუხი ამ დრომდე არაა გაცემული.

საბჭო თავის სრულყოფილ ანგარიშს უახლოეს დღეებში წარმოადგენს. For.ge-ს ინფორმაციით ანგარიშში დეტალურად არის მითითებული ის ხარვეზები, რომელთაც ადგილი აქვს ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების შესახებ მიმდინარე ოფიციალურ გამოძიებაში. გამოძიების პროცესში ამ დრომდე პრობლემური რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საქმის სათანადო კვალიფიკაცია, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და დაზარალებულთა პროცესუალური უფლებების დაცვა.

საზოგადოებრივი საბჭოს წევრი, ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ ჩატარებული კვლევისთ მოპოვებულია საინტერესო მასალები, რის საფუძველზე მომზადდა საბოლოო დასკვნა.

**„ჩვენი კომისიის კომპეტენცია არის ფაქტების დადგენა და ამ ფაქტების დადგენა იმ გამოძიების მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. როგორ გამოიყენებენ ამას და ვის წაუყენებენ ბრალს, ეს გამოძიების საქმეა. ფაქტია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების გარეშე ასეთი ფაქტი არ მოხდებოდა“, —** აცხადებს For.ge-სთან საუბრისას გელა ნიკოლაიშვილი.

კომისიის კიდევ ერთი წევრი მექა ხანგოშვილი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ სპეცოპერაციის დაწყების ბრძანება ყოფილმა შს მინისტრმა ბაჩო ახალაიამ გასცა.

**„შს მინისტრის გარეშე სპეცოპერაციის დაწყების ბრძანებას ვერ გასცემდნენ. ძალიან კარგად ვიცი უშუალოდ იმ ადამიანებისგან, ვისთანაც ბაჩოს აქვს ნათქვამმა, რომ ძალიან განიცდის და არ უნდოდა, რომ ჩეჩნებთან ასეთი მარცხი მოსვლოდა. ადამიანები, ვინც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ამ ბიჭებთან, რომ დაეყარათ იარაღი, უთხრეს, რომ დრო დამთავრდა, ბაჩო ახალიამ ბრძანება უკვე გასცა სპეცოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებითო.**

**დიახ, ბაჩო ახალაიას უშუალო ბრძანებით მოხდა სპეცოპერაცია, მისი უშუალო ბრძანებით მოხდა ამ ადამიანების ლიკვიდაცია. მაგრამ ამ ბრძანებას ახალაია ვერ გასცემდა, რომ არა ქვეყნის პირველი პირის ბრძანება. ამბობენ, რომ დათა ახალაიაც იქ იყოო. ველოდებით გამოძიების საბოლოო დასკვნას“, —** აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას მექა ხანგოშვილმა.

სახალხო დამცველის განცხადებით, გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, ვისთან მიდის კვალი და ვისი პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება. მისი თქმით, მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, გამოძიება პირის მძევლად აყვანის მუხლით მიმდინარეობს. უჩა ნანუაშვილის განცხადებით, იკვეთება რამდენიმე დანაშაულის ნიშანი და შესაბამისად, საბჭოს მიერ მოპოვებული მასალები უახლეს დღეებში წარედგინება გამოძიებას, რომ დადონ შედეგი.

**„ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხამდე მივა, თუმცა, მუშაობის დასრულებამდე გამიჭირდება კონკრეტული პირების გვარების დასახელება. როდესაც, უცებ ჩნდება ამდენი შეიარაღებული პირი, მათი დიდი ნაწილი იქნა ლიკვიდირებული, მათ შორის რამდენიმე სამხედრო და არც ერთი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, ექსპერტიზაც კი არ ჩატარებულა, რომელიც სიკვდილის მიზეზებს დაადგენდა.**

**არის ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა და, რაც მთავარია, პარლამენტის დადგენილება, რომ გამოძიება ეწარმოებინა პროკურატურას და ყველა ის პირი, ვინც ამ საქმეში იყო ჩართული, ჩამოშორებოდა საქმის გამოძიებას, არ შესრულდა. სამწუხაროდ, გამოძიებას ისევ, შსს-ს და ის პირები აწარმოებენ, რომლებიც თავიდანვე იყვნენ ამ საქმეში ჩართული. ფაქტია, რომ გამოძიება არის გაჭიანურებული, შედეგები კვლავ უცნობია საზოგადოებისთვის. იმედი მაქვს, რომ გამოძიება მივა ლოგიკურ დასასრულამდე“, —** აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას უჩა ნანუაშვილმა.

**ნანა სანიკიძე**

ალიანჩალიანი

# კარგმა მენეჯერმა საქმე იქამდე არ უნდა მიიყვანოს, რომ სამედიცინო პერსონალი ქუჩაში გამოვიდეს



ჯანდაცვის მინისტრს კლინიკა „ახალი სიცოცხლის“ მენეჯმენტთან კითხვები აქვს. როგორც დავით სერგეენკომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ინტერპრესნიუსის“ კითხვის პასუხად განაცხადა, კარგმა მენეჯერმა საქმე იქამდე არ უნდა მიიყვანოს, რომ სამედიცინო პერსონალი ქუჩაში გამოვიდეს და ღია პროტესტი გამოთქვას.

— ამის შესახებ ინფორმირებული ვარ. რამდენიმე დღის წინათ მოგვმართა კლინიკის ხელმღვანელმა, შეხვდა მინისტრის მოადგილეს ზაზა სოფრომაძეს, განიხილეს ყველა საკითხი. ჯანდაცვის სამინისტროს აქვს ორი შესაძლებლობა, რომ ასეთი ტიპის კონფლიქტებში ჩაერიოს. პირველი — საფრთხე უნდა შეექმნას სამედიცინო დახმარების უწყვეტობას, პაციენტს, და ვალდებული ვართ, რომ ამისი პრევენციაც გავაკეთოთ და მყისიერი რეაგირებაც მოვახდინოთ. მეორე — თუ აღიძრა კოლექტიური შრომითი დავა, ესეც ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივა გახდა და სამმხრივი კომისიის მიერ დამტკიცებული მედიატორი იწყებს ამ საკითხის მოგვარებას კანონით დადგენილი ფარგლებში. სხვა შემთხვევაში ეს არის კერძო დაწესებულება და დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის მოლაპარაკების საგანი. ეს არის ფორმალური მხარე. თუმცა, რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახის სამედიცინო აქტივობა, პაციენტთან ურთიერთობა მთელი საქართველოს მასშტაბით არის ჩვენი პასუხისმგებლობა. მე ნამდვილად ვერ ვიქნები ბედნიერი, როდესაც ასეთი კლასის დაწესებულებაში თანამშრომელთა, პრაქტიკულად, 100 პროცენტი აცხადებს, რომ უნდა წავიდეს სხვაგან; მე რამდენადაც ვიცი, ისინი უაღრესად კვალიფიციური ხალხია და არ გაუჭირდებათ სამსახურის მოძებნა. მაგრამ, მე გამიჩნდა ლეგიტიმური კითხვები ამ ქსელური დაწესებულების მმართველ კომპანიასთან. არ უნდა მიიყვანოს კარგმა მენეჯერმა საქმე იქამდე, რომ სამედიცინო პერსონალი ქუჩაში გამოვიდეს და ღია პროტესტი გამოთქვას, — განაცხადა მინისტრმა.

კლინიკა „ახალ სიცოცხლეს“ ექიმების 80% 11 აგვისტოდან დატოვებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კლინიკის ყოფილმა დირექტორმა ზაზა სინაურიძემ განუცხადა, უკვე დანიშნულია ახალი დირექტორიც; აღნიშნულ პოსტზე გიორგი ბერიშვილი დაინიშნა.

ზაზა სინაურიძემ და კლინიკის 50-მდე ექიმმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებები ორშაბათს დაწერეს. თუმცა, 11 აგვისტომდე ისინი ჩვეულ რეჟიმში იმუშავებენ. სინაურიძის თქმით, სამედიცინო პერსონალსა და მენეჯმენტს განსხვავებული ხედვა აქვთ, რის გამოც ექიმები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, პაციენტების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ველარ იყოს.

— ის მენეჯმენტი, რაც ხორციელდება, სამედიცინო პერსონალს არ გვაძლევს საშუალებას რომ დავიცვათ პაციენტის უსაფრთხოება და სამედიცინო დახმარების ხარისხი უზრუნველყოთ. საბოლოო ჯამში, ეს მივა იქამდე, რამე რომ გართულდეს, სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობა დადგება. არავინ არ იკითხავს ვინ არის მმართველი, იკითხავენ, ვინ გააკეთა ოპერაცია. არის სიტუაცია, რომ დღეში მშობიარობს 5 ქალი და არის სიტუაცია, როცა დღეში 25 ქალი მშობიარობს. ხომ არ შეიძლება რომ ერთი და იგივე რაოდენობის პერსონალი დასჭირდეს. ცხადია, პერსონალი უნდა დაემატოს. ერთ ექთანზე მოდის 25-27 მელოგინე. ფიზიკურად ვერ მოასწრებს ის ყველასთვის ყურადღების მიქცევას, — აცხადებს სინაურიძე. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა საკუთარი ხედვა მენეჯმენტს გააცნეს, მენეჯმენტმა სათანადოდ ვერ გაითავისა აღნიშნული პრობლემები და პასუხი პრაქტიკულად არ მიუღიათ.

სინაურიძის ინფორმაციით, ექიმების გაღიზიანება გამოიწვია შრომითმა ხელშეკრულებებმაც, სადაც მათთვის მიუღებელია რამდენიმე პუნქტი.

— ყველაზე გამაღიზიანებელი პუნქტი იყო ის, რომ სხვა სამსახურში მუშაობის უფლება შეზღუდულია, მეორე მომენტი იყო ის, რომ სამსახურიდან როცა გაგიშვებენ ან თავად წახვალ, ექვსი თვე სხვაგან ვერ იმუშავებ. თუმცა, ეს არ არის ის ფაქტი, რის გამოც მივიღეთ ასეთი მკვეთრი გადაწყვეტილება, ეს არის ბოლო წვეთი, თორემ ჩვენი ძირითად წუხილი არის პაციენტის უსაფრთხოება, — აცხადებს სინაურიძე.

# წამლების რეცეპტებით გაცემა პირველი სექტემბრიდან დაიწყება

ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

სექტემბრიდან ურეცეპტოდ აღარ გაიცემა II ჯგუფის მედიკამენტები, მათ შორის, საძილე და სედაციური საშუალებები (გარდა მცენარეული პრეპარატებისა), ანტიდეპრესანტები, კორტიკოსტეროიდები სისტემური გამოყენებისათვის, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები და იმუნომოდულატორები, მიკრობების საწინააღმდეგო პრეპარატები სისტემური გამოყენებისათვის, პარკინსონიზმის საწინააღმდეგო პრეპარატები, ანტიჰისტამინური საინექციო პრეპარატები სისტემური გამოყენებისათვის, საგულე გლიკოზიდები, ანტიარითმული და ანტიჰიპერტენზული პრეპარატები, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები, საინექციო წამლის ფორმები. აღნიშნულ ჯგუფში დაახლოებით 5000-მდე მედიკამენტია.

რაც შეეხება ურეცეპტოდ გასაცემი III ჯგუფის მედიკამენტების ნუსხას, ის მოიცავს საქართველოში რეგისტრირებულ 3306 მედიკამენტს.

რეცეპტების აღდგენის საჭიროება ორმა გარემოებამ განაპირობა. ეს არის მედიკამენტების ჯგუფის არადანიშნულებისამებრ მიღება, ანუ ირიბად სააფთიაქო ნარკომანია და მეორე, მედიკამენტების ექიმის ინსტრუქციის გარეშე მიღება, რაც ასევე იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას და რიგ შემთხვევაში სახიფათოა სიცოცხლისათვის. გეგმა გაწერილი სქემის მიხედვით მიმდინარეობს და პირველ სექტემბერს სრული სიმძლავრით ამოქმედდება. დამტკიცდა რეცეპტის ფორმა, შეფასდა რისკები. მაგალითად, მოსახლეობას ჰქონდა ასეთი საფრთხის შეგრძნება, რომ ყოველი მედიკამენტის შეძენის წინ ექიმთან გახდებოდა მისასვლელი, რაც მისთვის დამატებითი ბარიერი იქნებოდა ფინანსური თუ დროის თვალსაზრისით. შემოღებულია ხანგრძლივი, მრავალჯერადი გამოყენების რეცეპტი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მოქმედებს. ხოლო წელიწადში ერთხელ პაციენტი, რომელსაც ქრონიკული დაავადება აქვს, ისედაც უნდა მივიდეს ექიმთან.

## განცხადება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2014 წლის 25 ივნისის №121-ში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ერთ ვაკანტურ ადგილზე შიფრით 010303 „ცხოველთა და ფრინველთა კვება (ბიოქიმიის მიმართულებით)“ ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის რეკომენდებული იქნა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ტყემალაძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● „კურიერის“ ინფორმაციებს მაგარი „გასავალი“ ექნებოდა, ზალიკომ ან დიკომ ჩრდილოეთ კორეული ენა რომ იცოდნენ!

● კაზანტიპის რესპუბლიკა ჩვენს დასაპყრობად არ წამოვა?

● — ყველანი ციხეში! ნულოვანი ტოლერანტობა! განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და პარაშასთან წამოწვა.

● ეს ტელევიზიები რომ მართვადია და რომ ჟურნალისტებით არიან დაკომპლექტებული, აშკარაა.

მაესტრომ „რუსთავი 2“-ის ფუნქცია შეითავსა და წარმატებითაც ართმევს თავს ჯერჯერობით რათქმაუნდა.იმის მაგივრად, რომ 7 ნოემბერთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძე მოიწვიონ და კითხვები დაუსვან, ვიღაც მე-10 ხარისხოვან ტიპებს ალაპარაკებენ.

თქვენი დროც მალე დადგება თქვე პროპაგანდისტ—დეზინფორმატორებო თქვენა.

● ძველი აღთქმის გმირი რომ არის, ერთი ძალიან ცოდვილი ტიპი (მიშასთან შედარებით უმანკო), უკვდავებით რომ დასჯის ღმერთი და მსოფლიოში რომ დაწანწალებს. ფრანგი მწერლის რომანში „აგასფერის“ სახელით, შავ ჭირს ავრცელებს იქ, სადაც გაივლის. ბიბლიურად „ვეჩნი ჟიდი“. მგონი, სააკაშვილს იგივე ბედი ელის!

● შუა გაკრეფვა დამთავრდა თუ მიდის ისევ?

● მიშა რომ მაგარი პოლიტიკოსი იყოს, ჩამოვიდოდა და ჩაჯდებოდა — თქვა თავის დროზე ნელსონ მანდელამ.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე

ვითარება

# უძრავი ქონების ბაზრის რებუსი



**უძრავი ქონების ბაზარზე ერთბაშად რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა. პირველი ის არის, რომ გირაოს ფასი თითქმის ბინის სარეალიზაციო ღირებულებას გაუტოლდა. გარდა ამისა, ბოლო დროს საგრძნობლად შემცირდა მეორადი ფართების გაყიდვა. მესამე ფაქტორი კი შემოდგომიდან იჩენს თავს, როდესაც სავიზო რეჟიმი გამკაცრდება.**

**ცნობილია, რომ 1 სექტემბრიდან ქვეყანაში უცხოელთა შემოსვლა და ყოფნის ვადა იზღუდება. ქვეყანაში განუსაზღვრელი ვადით მყოფ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს საკმაოდ ცუდი პერსპექტივა ელით. მათ უმეტესობას ქვეყნის დატოვება მოუწევთ. ეს ადამიანები წლების განმავლობაში საქართველოში თავს არხეინად გრძნობდნენ და თანდათან უძრავი ქონების შეძენასაც მიჰყვეს ხელი აქ სამუდამოდ დასამკვიდრებლად.**

საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2013 წლის განმავლობაში საქართველოში (მრავალბინიან შენობაში) ბინა 1127-მა უცხო ქვეყნის მოქალაქემ იყიდა. 2014 წლის იანვარ-ივნისში კი მათ კიდევ 592 უცხოელი მიემატა. შემოდგომიდან მათ თავსატეხი გაუჩნდებათ. შესაძლოა, ქონება შერჩეთ, მაგრამ ქვეყანაში ცხოვრება ველარ შეძლონ. ამიტომაც, ყოველი ასეთი პოტენციური უცხოელი მყიდველი, ბინის (ან მიწის) შეძენისაგან დროებით მაინც (თუ საბოლოოდ არა) თავს შეიკავებს.

შესაბამისად, უძრავი ქონების გაყიდვის სააგენტოებში აცხადებენ, რომ სავიზო რეჟიმის გამკაცრება და ვადების შეზღუდვა მათ ბიზნესს 30%-იან ზარალს მოუტანს. გაყიდვის შემცირება კი ბინებზე ფასის კლებასაც გამოიწვევს.

როგორც ბროკერი მაია ფხალაძეც აცხადებს, მეორადი ბინების გაყიდვა ისედაც საკმაოდ გართულდა. **„მეორად ბინებს ყველა თავს არიდებს თუნდაც იმიტომ, რომ ახალ კორპუსში უფრო დიდი ფართი შეიძლება გაცილებით ნაკლებ ფასად იყიდონ. თანაც, ძველ ბინებში ფართობი ძირითადად მიშენების ხარჯზეა გაზრდილი. ვისაც ცხოვრების პირობების გაუმჯობესება უნდა და ფულიც აქვს, ურჩევნია ბინა ახლაშენებულ კორპუსში შეიძინოს.**

**გამონაკლისი მხოლოდ ერთოთახიანი, პატარა ბინებია, მათი რაოდენობა ახალ კორპუსებში იმდენად შეზღუდულია, რომ „ხრუშჩოვკებში“ არსებულ ერთოთახიან ბინებზეც კი მოთხოვნა ძალიან მაღალია. ზოგიერთ ახალაშენებულ კორპუსში 1 კვ/მ ფართობის ფასი 1300 დოლარამდეც აღწევს, მაგრამ მიუხედავად სიძვირისა, ვისაც გადახდა შეუძლია, 80 პროცენტი სწორედ ასეთ ბინას ირჩევს“,** — აცხადებს ფხალაძე.

ამ ტენდენციიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სააგენტოები და მაკლერები ბინებზე ფასის ზრდას ნაკლებად ელიან: **„არ მგონია, საცხოვრებელი ბინების ფასი გაიზარდოს. მართალია, ზოგი ამტკიცებს, ევროკავშირში შევალთ და ბინების ფასი ძალიან მოიმატებსო, ასეთები თავიანთ ბინას არარეალურ ფასსაც ადებენ, მაგრამ ვერ ყიდიან. ჩემი კოლეგებიც ვარაუდობენ, რომ უძრავი ქონების ფასის ზრდა ნაკლებად არის მოსალოდნელი. თანაც, უმეტესობა იპოთეკით ტვირთავს ბინას და მის საფასურს ასე იხდის. სხვათა შორის, საპროცენტო განაკვეთების შემცირებასთან ერთად, ეს ბაზარი საგრძნობლად გამოცოცხლდა და თუ ბანკები პროცენტებს მომავალშიც დასწევენ, უძრავი ქონების ბაზარი კიდევ უფრო გამოცოცხლდება“,** — ამბობს ფხალაძე.

სააგენტო „ბესტ ფლათის“ წარმომადგენელი სოსო მოლაშვილი კი ყურადღებას გირაოს ფასის მატებაზე ამახვილებს. მისი ინფორმაციით, მოთხოვნა უფრო იაფფასიან ბინებზეა შენარჩუნებული და, ძირითადად, გარეუბნებში, თითქმის სარეალიზაციო ფასად გირავდება. საერთოდ კი, მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი დარღვეულია და რეალური შეთავაზება არ არის.

**„თბილისის გარეუბნებში ერთოთახიანი ბინის დაგირავება 20 000 დოლარადაც ჭირს. მისი პოვნა მომხმარებლისთვის ძალიან რთულია. მე, როგორც სააგენტოს წარმომადგენელს, ბევრად მირჩევნია ერთდროულად ათი ბინის გაყიდვაზე მქონდეს შეკვეთა და გავისარჯო, ვიდრე ერთი მოთხოვნა გირაოზე, რომელიც შეიძლება, ვერც ვიშოვო. ამ მხრივ ქალაქში საშინელი დეფიციტია. ათასში ერთხელ მსგავს განცხადებებს სოციალურ ქსელებსა და პრესაში ბინის მფლობელები თავადვე ავრცელებენ, მაგრამ სააგენტოებამდე ვერ აღწევს“,** — აცხადებს სოსო მოლაშვილი.

**ბექა დანელია**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# მიხეილ სააკაშვილი, ჯონ მაკკეინი და კანონის ხელისუფლება

**საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ებრძოდა საქმის გაჭიანურებასა და უყვარდა თავისუფალი ბაზარი, ამ ცოტა ხნის წინათ სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენეს. მას ბრალს სდებენ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში. ფორმალურად ეს ბრალდებები დაკავშირებულია სააკაშვილის მოქმედებებთან 2007 წლის ნოემბერში, როდესაც მან ძალით დაარბია მასობრივი ანტისამთავრობო დემონსტრაციები. მისმა ამ მოქმედებებმა გახმაურებული ბრალდებები გამოიწვია მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.**

Human Rights Watch-მა, მაგალითად, მკვეთრად განაცხადა, რომ „ეს მოქმედებები არ არის წესრიგის დამყარების კანონიერი მეთოდები“, აგრეთვე აღნიშნა, რომ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა დროა, ჩახედონ სიმართლეს თვალებში და წაუყენონ საქართველოს პრეტენზიები ადამიანის უფლებათა დაუცველობასთან დაკავშირებით“. სააკაშვილი, რომელიც მისთვის დამახასიათებელი მანერით მოქმედებდა, ბრალს სდებდა ამ სკანდალში ყველას და თითოეულს, ოღონდ არა თავის თავს. მან ღიად განაცხადა, რომ მთელ ამ ოპერაციებს გეგმავდნენ და ახორციელებდნენ რუსეთის სპეცსამსახურები (ამ დროს მას არ აუხსნია, თუ რუსები როგორ ახერხებდნენ შემოეკრიბათ თბილისის ცენტრში 50 ათასი კაცი დემონსტრაციისათვის).



სააკაშვილის მრავალრიცხოვან ამერიკელ მოკავშირეებზე ამან არ მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება. მაგალითად, „უოლსტრიტ ჯორნელმა“ თავის სარედაქციო გვერდზე ბრალდებას „დაუფარავი პოლიტიკური შურისძიების მცდელობა“ და სააკაშვილის მიერ უფლებამოსილებათა გადაჭარბებას დამამცირებელი უწოდა („ეს არის მაქსიმუმი, რაც პროკურორს შეეძლო, მოეფიქრებინა“). კიდევ უფრო გაოცებს ზოგიერთი სენატორის განცხადება, რომელთა შორისაც არიან რუსეთისადმი მტრულად განწყობილი პირები — ჯონ მაკკეინი და ბენ კარდინი. მათი განცხადება უფრო დაწვრილებით გვინდა მოვიყვანოთ:

პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა უზადონი არ არიან და ნებისმიერმა დემოკრატიამ უნდა დაიცვას თავისი კანონები. თუმცა, სამართალდაცვა არ უნდა გადაიქცეს პოლიტიკური შურისძიების იარაღად და ერის გათიშვის წყაროდ, განსაკუთრებით დღეს, როდესაც საქართველო გადაეყარა ბევრ გადაუდებელ პრობლემას. ჩვენ და დანარჩენები მოვუწოდებთ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს და სხვა ქართველ ლიდერებს ყურადღება გაამახვილონ მომავალზე და არა წარსულზე, დაეხმარონ თავიანთ ქვეყანას წინსვლაში და ნუ ექაჩებიან უკან. პრაქტიკულად შეუძლებელია, გავიგოთ, როგორ შეიძლება გადაწყვეტილება მივიღოთ მთელი ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ.

ეს არგუმენტი არ ეწინააღმდეგება მიხეილ სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური მოკავშირეების წინააღმდეგ გამოძიებას სასამართლოს წესით, თუმცა, არის კანონის ხელისუფლების იდეის წინააღმდეგი. იდეისა, რომელიც ბუნებრივია, უკან გახედებს. წარმოგიდგენიათ, რომ მაკკეინი გააკეთებს ანალოგიურ განცხადებას რუსეთზე პუტინის შემდეგ? შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორ გამოდის იგი განცხადებით და ამბობს: რაც უნდა გაეკეთებინა ყოფილ პრეზიდენტს ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს, რუსეთმა ყურადღება უნდა გაამახვილოს თავის მომავალზე და არა წარსულზე? ასეთი განცხადება ჰგავს ინდუგენციას ნებისმიერი პოლიტიკოსისადმი, რომელმაც ხელისუფლების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია.

დამნაშავეა სინამდვილეში სააკაშვილი? არ ვიცი. მე არ მინახავს ის დამადასტურებელი ბაზაც, რაც ხელისუფლებამ სასამართლოსთვის შეაგროვა. ამას გარდა, მე გარკვეულწილად არა ვარ სპეციალისტი ქართულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. უეჭველია, სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო „ქაჯებთან ბრძოლა“ და ებრძვის ასევე თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. მაგრამ ამასთან ერთად შესაძლებელია, რომ ისინი სავსებით კანონიერ საფუძველზე ცდილობენ, მიაღწიონ სამართლიანობას. რა ვიცი მე? იქნებ სააკაშვილის მთავრობა მართლაც პასუხისმგებელია კანონისა და სამოქალაქო უფლებათა მთელ რიგ სერიოზულ დარღვევათა გამო. უნდა დავუფიქრდეთ იმას, რასაც „ფრიდომ ჰაუსი“ ამბობს:

საქართველო არ არის შერჩევითი დემოკრატია. მეთვალყურეებმა ეუთოდან აღმოაჩინეს მთელი რიგი პრობლემები 2008 წლის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების დროს. მათ შორისაა საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა კენჭისყრამდე რამდენიმე კვირით ადრე, სახელმწიფო სახსრების ბოროტად გამოყენება, აგრეთვე ცნობები სახელმწიფო მოსამსახურეების და ოპოზიციის აქტივისტების დაშინების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, თუ რა მოხდა ქვეყანაში მისი პრეზიდენტობის დროს, არ შეიძლება ასე უცბად, მაკკეინის, კარგინისა და სხვათა სურვილებით, ხელი ჩავიქნიოთ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრალდებებზე. ვიღაცამ ხომ გასცა ბრძანება გამოიყენონ ძალები მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, ვიღაც ხომ აყალბებდა არჩევნების შედეგებს. იმდენად, რამდენადაც პოსტსაბჭოთა პოლიტიკური სისტემები ატარებენ მხოლოდ ცენტრალიზებულ ხასიათს, არ იქნებოდა უგუნურობა ვივარაუდოთ, რომ, იქნებ, პრეზიდენტიც დამნაშავეა ამ მოქმედებებისათვის. იმის შესახებ, ახორციელებს საქართველოს მთავრობა შერჩევით სამართალდაცვას თუ პატიოსნად ისწრაფვის სამართლიანობისაკენ გავიგებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც დავინახავთ, თუ როგორ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

**Forbes**

# ამერიკელმა სენატორებმა სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრა დაგმეს

**ამერიკელმა** სენატორებმა **ჯონ მაკკეინმა, ბენ კარდინმა, ჯინ შაჰინმა და ჯიმ რიშმა გამოთქვეს „უკიდურესი გაწბილება“ საქართველოს პროკურატურის მიერ ქვეყნის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ბრალდებათა წამოყენების გამო.**

**„პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა არ იყვნენ უცოდველები, და ნებისმეირი დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს კანონების დაცვა. მაგრამ სამართალდაცვისაკენ სწრაფვა არ უნდა გადაიქცეს პოლიტიკური შურისძიების ინსტრუმენტად და ქვეყანაში დაპირისპირებათა წყაროდ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც საქართველოს წინაშე დგას ბევრი სხვა პრობლემა“,** — ნათქვამია სენატორების განცხადებაში.

**„ჩვენ, როგორც ბევრი სხვა, მოვუწოდებდით პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილსა და საქართველოს ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლებს გაამახვილონ ყურადღება მომავალზე და არა წარსულზე, წასწიონ ქვეყანა წინ და ნუ ექაჩებიან უკან. თითქმის შეუძლებელია, წარმოვიდგინოთ თუ როგორ შეიძლება გადასცე სასამართლოს წინა მთავრობის წარმომადგენელთა უმრალესობა“,** — აღნიშნავენ სენატორები.

სენატორების ჯგუფი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ლიდერები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ იმას, თუ რა მიმართულებით მიჰყავთ თავიანთი ქვეყანა. მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯი, როგორც სხვა მსგავსი ზომები, „ქმნის ზედმეტ დაბრკოლებებს ჩვენს ურთიერთობათა განვითარებისათვის“.

**Коммерсантъ**

# დედამიწის ზურგზე



## აშშ-მა ურჩია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას გამოკვებოს ხალხი და ნუ ემუქრება მსოფლიოს ბირთვული დარტყმით

**„მოვიდა დრო ჩრდილოეთი კორეისათვის — გააკეთოს ის, რაც სასარგებლო იქნება თავისი ხალხისათვის“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს პრეს-მდივანმა ჯონ კირბიმ. ასე უპასუხა მან მორიგ დაშინებას ფხენიანიდან მიაყენოს ბირთვული დარტყმები თეთრ სახლსა და პენტაგონს.**

## პოლიციამ დახოცა ათობით ექსტრემისტი ნაჯახებითა და დანებით, რომლებმაც ჩინეთში დარბევა მოაწყვეს



**უწესრიგობანი მოხდა ქალაქ შაჩეს მახლობლად. შეიარაღებულ პირთა ჯგუფი დაესხა პოლიციის უბანს და მთავრობის დაწესებულებებს აილისიხის მაზრაში, თავდამსხმელები ასევე უტევდნენ სამოქალაქო მოსახლეობას, დაამსხვრიეს პოლიციის 30-მდე ავტომობილი ჰუანგის მაზრაში, ექვსი მათგანი დაწვეს. ხელისუფლებამ განაცხადა ათობით მოკლულისა და დაჭრილის შესახებ.**

## ზედახორაში კონცერტზე გვინეის დედაქალაქში 24 კაცი დაიღუპა, გამოცხადებულია ერთკვირიანი გლოვა

**ინციდენტის გამოკვლევას აწარმოებენ სამართალდაცვის ორგანოები. ჯერჯერობით იტყობინებიან მხოლოდ იმის შესახებ, რომ ზედახორა მოხდა გვინეაში პოპულარული რეპჯგუფის კონცერტის დროს. მუსიკოსები გამოდიოდნენ რატომის პატარა ქალაქში ქვეყნის დედაქალაქ კონაკრის ჩრდილოეთში. დაზიანებულები გადაყვანილი არიან საავადმყოფოში, მათი რიცხვი ზუსტდება.**

## გარდაიცვალა იმ ბომბდამშენის ეკიპაჟის უკანასკნელი წევრი, რომელმაც ხიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდო

**თეოდორ ვან კირკი იყო შტურმანი. 1945 წელს მას 24 წელი შეუსრულდა. 1945 წლის 6 აგვისტოს ამერიკულმა ბომბდამშენმა ჩამოაგდო ატომური ბომბი „ბიჭუნა“ იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში, მოკლა 140 ათასი კაცი. ეს იყო ბირთვული იარაღის სამხედრო მიზნით გამოყენების პირველი შემთხვევა. სამი დღის შემდეგ ინციდენტი განმეორდა ნაგასაკში.**



# მოლდოვური გაკვეთილები

**ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის დოკუმენტის რატიფიცირების შემდეგ საბოლოოდ გაირკვევა, როგორი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდება საქართველო-უკრაინა-მოლდოვასა და რუსეთს შორის.**

როგორც ფეხბურთში იტყვიან – ბურთი ამჟერად რუსეთის მოედანზეა და მასზეა დამოკიდებული, რამდენად ოსტატურად ითამაშებს. ოსტატობაში, უპირველესად, ვგულისხმობ ისეთ პასს, ანუ გადაცემას, რომელიც მისთვისაც სასარგებლო იქნება და მოწინააღმდეგისთვისაც. თუმცა, ფეხბურთში მსგავსი რამ დაუშვებელია, კაცმა რომ თქვას, პოლიტიკაშიც, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება, რა განწყობაზე იქნება კრემლი.

ასოცირების წინა პერიოდიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, კარგი არაფერი დაადგებათ უკვე ასოცირებულებს. მათ ისღა დარჩენიათ ამერიკა-ევროპის ზეწოლით, რომ რუსეთმა უარი არ თქვას მათთან ვაჭრობაზე. მაგრამ რამდენად გამოდგება ამ შემთხვევაში ევროკავშირის შუამდგომლობა, არავინ იცის. უფრო სწორად იცის, მაგრამ დაუშვებს ევროკავშირი ასეთ შუამდგომლობას, როდესაც თვით აცხადებდა: ან გექნებათ კავშირი ჩვენთან, ან იქნებით რუსეთთან.

საკითხის ესოდენ უხერხული ფორმით დაყენება არც ევროკავშირს უნდა ეკისრა და არც ასოცირების წევრობის კანდიდატებს უნდა მიეღოთ. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ევროკავშირს გაეზიარებინა რუსეთის წინადადება სამთა მოლაპარაკების (რუსეთი, უკრაინა, ევროკავშირი) გამართვის თაობაზე.



მაშინ ევროკავშირის ხელმძღვანელმა ბაროზუმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არც აშშ-ს ადმინისტრაციამ დააკლო ხელი – ან იქნებით ცივილიზებულ სამყაროსთან, ან რუსეთთანო. სწორედ ამ გაუგებარმა „პრინციპულობამ“ გამოიწვია ის კრიზისი, რასაც უკრაინაში აქვს ადგილი და არა მარტო უკრაინაში.

უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი იანუკოვიჩი, რომელმაც ვილნიუსში ხელი არ მოაწერა ასოცირების დოკუმენტს, დაბეჯითებით სთხოვდა ევროკავშირის ხელმძღვანელობას, ევროპაამერიკის მაღალჩინოსნებს რუსეთთან სამთა მოლაპარაკების გამართვისთვის ხელის შეწყობას. პრეზიდენტი პუტინიც გამოვიდა ასეთი მოწოდებით, მაგრამ პუტინ-იანუკოვიჩის წინადადება ევროკავშირმა არ გაიზიარა.

ვაშინგტონ-ბრიუსელი ახალი უკრაინული რევოლუციის მოლოდინში იყვნენ, რომელსაც იანუკოვიჩიც უნდა ჩამოეგდო და რუსეთთანაც გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი. ბაროზუს უარმა ძირფესვიანად შეცვალა ევროპაში მიმდინარე პროცესები. მამასისხლად გადაკიდა ერთმანეთს უკრაინა და რუსეთი, ევროკავშირი და რუსეთი, აშშ-ი და რუსეთი. ევროკავშირის უარმა უდანაშაულო, მშვიდობიანი უკრაინელების სისხლის მდინარეები დააყენა. ამ ქვეყნის ერთიანობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

ბაროზუ ჯერჯერობით მაღალ პოსტზე რჩება, თუმცა – შემოდგომამდე. შემოდგომაზე მას გასდის უფლებამოსილება და ევროკავშირის აბურდულ ესტაფეტას სხვას გადასცემს.

პოლიტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვითარების სერიოზულ შესწავლას, გაანალიზებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მოქმედი პოლიტიკოსები არ გამოირჩევიან ჩამოთვლილი თვისებებით. მათთვის დამახასიათებელია პოზიციების სისტემატური ცვლა, სწრაფი, გაუანალიზებელი გადაწყვეტილებების მიღება და ცუდი შედეგის შემთხვევაში, სხვისი დადანაშაულება.

**მსგავსმა პოლიტიკოსებმა შეიყვანეს თანამედროვე პოლიტიკა ჩიხში, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „ცივი ომი №2“. დასავლეთმა უკვე გამოძებნა (ან რა მოძებნა სჭირდებოდა) „ბოროტების იმპერია“ – ეს რუსეთია და რახან ასეა, ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება რუსეთისთვის „ბოროტების იმპერიის“ ძახილი.**

**ასეთი რუსეთი, რა ვალდებულია ჰქონდეს ზემომოყვანილ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირები?**

„ამჟერად მოლდოვის ხელისუფლება არ აპირებს დსთ-ს თავისუფალი სავაჭრო ზონიდან გამოსვლას“, – განაცხადა მოლდოვის მთავრობის წარმომადგენელმა. მოლდოვა არ აპირებს, მაგრამ რუსეთი?

რუსეთმაც არ დააყოვნა და საკუთარი ბაზრის დაცვის მიზნით აკრძალა მოლდოვის კვების პროდუქტები, თან ისიც განაცხადა, რომ მოლდოვა გაირიცხება დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან.

კიშინიოვის აზრით – გადაწყვეტილება უსამართლოა და სურს აუხსნას რუსეთს – ცუდი არაფერია იმაში, თუ მოლდოვა ორივე (ევროკავშირის და დსთ-ს) თავისუფალი სავაჭრო კავშირის ზონაში იქნება.

მოლდოველთა „გონებაგამჭრიახობას“ არ იზიარებს რუსეთი, ვინაიდან ვარაუდობს, რომ მოლდოვური საქონლის სახით რუსეთში მოხდება ევროპული საქონლის ექსპორტი. ევროპასთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოლდოვის ბაზარი ღიაა ევროპული საქონლისთვის.

მოსკოვი, ფაქტების მოყვანით, აცხადებს, რომ რუსეთსა და საბაჟო კავშირის ქვეყნებში ადგილი აქვს მოლდოვიდან სხვადასხვა სახის საქონლის შეტანას. პოლონელებმა, რომლებმაც რამდენიმე შაქრის ქარხანა შეიძინეს მოლდოვაში, დაიწყეს ლერწმის შაქრის შეტანა რუსეთში, როგორც მოლდოვაში დამზადებული ჭარხლის შაქარი.

დიდი ხმაური გამოიწვია რუსეთში ბელგიური ძეხვის შეტანამ, რომელზედაც მოლდოველებმა დააკრეს ეტიკეტი „დამზადებულია მოლდოვაში“. მათ დაავიწყდათ ბელგიური წარწერის მოხსნა. ფალსიფიკაციის გამო რუსეთმა აკრძალა მოლდოვიდან ხორცისა და ხორცპროდუქტების შეტანა.

„როსსელხოზნადზორმა“ დააკავა 500 ტონა ღორის ხორცი, რომელიც მოლდოვიდან შევიდა ბელორუსში, თანაც იმ საწარმოდან, რომელსაც საბაჟო კავშირის ატესტაცია არ ჰქონდა გავლილი.

საბაჟო კავშირის ქვეყნები სიღრმისეულად სწავლობენ საკითხს და პირველი სექტემბრიდან გადაწყვეტილი აქვთ უკრაინულ, ქართულ და მოლდოვურ საქონელს ისეთი მოთხოვნები მიუყენონ, როგორიც ევროკავშირისას. აუცილებელი იქნება შესაბამისი შეფუთვა და, რაც მთავარია, სერტიფიკატი, რასაც ლაბორატორია სჭირდება.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოლდოვური ყურძნისა და ვაშლის მოსავალი, მოლდოვაში დარჩება. მას არც ევროკავშირში მიიღებენ და არც საბაჟო კავშირში. მსგავსი რამ იქნება მოლდოვურ ღვინოებთან დაკავშირებითაც, რომლისთვისაც ევროპის ბაზარი გახსნილია, მაგრამ ვინ იყიდის?

არანაკლებ მნიშვნელოვანია „გესტარბაიტერების“ საკითხი. მოლდოველებს შეეძლებათ ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ სამი თვით იყვნენ რუსეთში, ისე, როგორც ევროკავშირში. საქართველოში შეჰხარიან მოლდოვას ბედს – უკვე, უვიზო მიმოსვლა რომ აქვს ევროკავშირთან. არადა რას გულისხმობს უვიზო მიმოსვლა, არავინ ხსნის. რუსეთში მყოფ მოლდოველს თუ არ ექნა მუშაობის უფლების დოკუმენტი, იძულებული იქნება დატოვოს რუსეთი და დაბრუნდეს სამშობლოში, სადაც ისევ უმუშევარი იქნება.

რა გამოვიდა? თუ ხილს, კვების პროდუქტებს, ღვინოს ვერ შეიტანს მოლდოვა რუსეთის ბაზარზე ან შეიტანს დიდი გაჭირვებით, თან გაურთულდება მდგომარეობა რუსეთში დასაქმებასთან დაკავშირებით, საით მიექანებოდა, რატომ არ დაფიქრდა?

მოლდოველი პოლიტიკოსები ხმამაღლა აცხადებენ, ასოცირების დოკუმენტი სათანადოდ ვერ შევისწავლეთ, ამერიკა-ევროკავშირი გვაჩქარებდაო. მათთვის მთავარი იყო რუსეთის ორბიტიდან მოწყვეტაო.

მაგრამ მარტო ამერიკა-ევროკავშირს უნდოდა რუსეთიდან მოწყვეტა? არამც და არამც. რუსეთიდან მოწყვეტა უპირველესად მოლდოვის ხელისუფლებას სურდა. თვითმხილველი იხსენებს მოლდოვის პრემიერ-მინისტრ იური ლიანკეს სიტყვებს: „ბოლოს და ბოლოს, რუსეთს მოვწყდითო“.

მოწყდნენ, მაგრამ პრობლემის წინაშე დამდგარნი ისევ რუსეთისკენ იყურებიან, იქნებ გვიშველოსო?

მოლდოვის სავალალო მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია. საქართველოც მსგავსი პრობლემების წინაშე დგას და ფიქრი იმაზე, რომ ღმერთი (ამ შემთხვევაში რუსეთი) გვიხსნის, ნაკლებად დასაჯერებელია. ან რატომ უნდა გვიხსნას?

რა ხანია გვაფრთხილებს, ისე ნუ მოიქცევი, რომ საკუთარ თავს ავნოო. ჩვენ კი, უფრო სწორად, დასავლეთის მიერ დაქირავებული საქართველოს ნაციონალი ხელისუფლება, ყველაფერს აკეთებდა რუსეთთან არასაქმიანი ურთიერთობების წარსამართავად. არადა, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას დიდი იმედი ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობების კარდინალურად შეცვლისა...

საპარლამენტო არჩევნებით მოსულ ახალ ხელისუფლებას ჰქონდა ამის შანსი, თუმცა მან, ისე, როგორც წინამორბედმა, ფოჩიან კანფეტებს გადააყოლა ქვეყანა.

დავუბრუნდეთ მოლდოვას, მას რა უჭირს, გვერდით რუმინეთი ჰყავს. მართალია, გაღლეტილ-გამათხოვრებული, მაგრამ მაინც ევროკავშირის წევრი, რომლის პრეზიდენტი რა ხანია ხმამაღლა აცხადებს, რომ მოლდოველი ბუნებაში არ არსებობს, მოლდოველი რუმინელიაო. ტრაიან ბესესკუ არა მარტო გაჰყვირის, არამედ სამომავლო საქმესაც აკეთებს – ურიგებს რა მოლდოველებს რუმინეთის პასპორტებს.

მოლდოვას დღევანდელი ხელისუფლება ორმაგი მოქალაქეობის მატარებელია. თვით პრეზიდენტი ტიმოფტი დაბეჯითებით აცხადებს, რომ რუმინელია და ა.შ.

მოლდოვის რუმინეთთან შეერთების მსურველი დღევანდელ ხელისუფლებაში ცოტა არ არის, მაგრამ მოწინააღმდეგეებიც საკმაოდ ბევრნი არიან. ა.წ. 30 ნოემბერს დაგეგმილია პარლამენტის არჩევნები. როგორც ვარაუდობენ, მოლდოველი კომუნისტები წარმატებისთვის ემზადებიან და თუ ეს მოხდა, მოლდოვის გარუმინეთების საკითხი გადაიდება.

საბაჟო კავშირთან ინტეგრაციისთვის გამოდის დნესტრისპირეთი, რომელიც კარგა ხანია, რუსეთს უგზავნის საკუთარი წარმოების ღვინოებსა და კონიაკს. მათ მიმართ რუსეთს პრეტენზია არ გასჩენია. ალკოჰოლური სასმელების რუსეთის ბაზარზე შეტანით დნესტრისპირეთი რაღაცას იგებს, მაგრამ არა ისეთს, შვებას რომ მისცემს ავტონომიას. 2013 წლის მონაცემების მიხედვით, ავტონომიის წარმოების 50% გადიოდა უკრაინასა და მოლდოვაში, 30% - ევროკავშირის ქვეყნებში და 20% - რუსეთში.

დღევანდელი სიტუაცია სხვაა. მოლდოვა ევროკავშირის ასოცირებული წევრია, ისევე, როგორც უკრაინა. ორივე მხრიდან ბლოკადის გამოცხადების შემთხვევაში ტირასპოლი დაკარგავს თავისი ექსპორტის 80%-ს, რაც თავისთავად სოციალ-ეკონომიკური კატასტროფის საწინდარი იქნება.

ევროკავშირს შეუძლია გააუქმოს დნესტრისპირეთს შეღავათიანი საექსპორტო გადასახადი, რომლითაც მთელი მოლდოვა სარგებლობს. ამ შემთხვევაში დნესტრისპირა საწარმოებს მოუწევთ 17%-იანი გადასახადის გადახდა, რაც თვით ამ საქონელს არაკონკურენტუნარიანს გახდის. მოლდოვა-უკრაინას, როგორც ასოცირებულ წევრებს, შეუძლიათ შემოიღონ მაღალი სახის დამცავი გადასახადები, დნესტრისპირეთში დამზადებული საქონლის „ექსპორტის“ დროს.

ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს დნესტრისპირეთის გაზით მომარაგების საკითხიც. ეს ავტონომია უკრაინიდან იღებს რუსულ გაზს, მაგრამ არაფერს იხდის მასში. ვალმა 5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. იმ შემთხვევაში, თუ დნესტრისპირეთი იძულებული შეიქმნება, შებრუნდეს ევროკავშირისკენ, უმალ დასრულდება საამური რუსული გაზის ამბავი. ის, იძულებული იქნება გადაიხადოს ვალიც და საბაზრო ფასებიც გაზზე.

დნესტრისპირეთის საწარმოები დაეჩვივნენ გაზში სიმბოლურ გადასახადებს. თუ მოსკოვი აზრს შეიცვლის, მაშინ ავტონომიის ეკონომიკა შეჩერდება, გაუარესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. დნესტრისპირეთის მოსახლეობის 30% საპენსიო ასაკისაა, სამრეწველო სექტორში 10%-ია დასაქმებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დნესტრისპირეთი ვერ იქნება ეკონომიკურად დამოუკიდებული.

უკრაინასთან ერთად, დასავლეთმა მოლდოვის კარტის გათამაშებაც დაიწყო. თუ უკრაინაში აშშ-ს უშუალო საფინანსო და იდეოლოგიური დახმარებით უკრაინელს გული აუცრუეს რუსეთზე და მტრად გადაჰკიდეს, მოლდოვაში, რუმინეთმა ყველაფერი იღონა მოლდოველთა გარუმინელებისთვის. მართალია, ეს პროცესი არ დამთავრებულა, მაგრამ მიღწევები ისეთია, ბუქარესტს რომ გაუხარდება.

ამ ქვეყანამ წლების განმავლობაში არიგა და არიგა რუმინული პასპორტები მოლდოვის მოქალაქეებში, თუმცა, ამას დასავლეთმა ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმო და ეს მაშინ, როდესაც მთელი ამბავი ატეხა აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემაზე.



რომ იტყვიან „ზოგის ბამბაც ჩხრიალებსო“. ეს საკითხი რუსეთს აღარ აწუხებს, ვინაიდან აფხაზეთი დამოუკიდებელია, არც აფხაზეთთან სავაჭრო ურთიერთობები აწუხებს, მაგრამ საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობები უდავოდ შეაწუხებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**

**პოლიტოლოგი.**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი №1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; |
| | | ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. კასპი, ჭავჭავაძის ქ. №20-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 5 475 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. კასპი, ჭავჭავაძის ქ. №20 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 160 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 16 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 232 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიანის მიმდებარე ტერიტორია, „ქვიანის“ (I და II უბანი) ტუფობრექჩიის (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 958 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ილტოზას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე „ქსნის“ (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია -P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 127 800 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ილტოზას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 17 136 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 713,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი | 3 627 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №4** | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით და დაცული უნდა იქნეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული წესები და ნორმები.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა |
| | | (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე „რუსთავის" კონგლომერატების გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 76 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №5** | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. მატანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზნის ქვიშა, ხრეშის (I, II და III უბანი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 22 500 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. მატანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 658 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 365,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 932 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №6** | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო | 204 559 691 |
| | ნომერი | |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუდაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. თეთრ არაგვზე „გუდაურის" ლოდნარის (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 21 420 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. გუდაურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის |

| | | |
|---|---|---|
| | | ვადაში |
| **ობიექტი №7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზნის (ექვსი უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 29 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 828 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 482,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 166 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №8** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ტერიტორიის დსასუფთავება და ჭაბურღილის მავთულბადით შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 730 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალციხის მუნიციპალიტეტი, მდ. ფოცხოვისწყალზე „ფოცხოვისწყლის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 35 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 343 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 534,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 269 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი  წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. |
| | | აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №15-ში (ნაკვ. 8/69), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №15-ში (ნაკვ. 8/69) |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 97 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 219 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №11** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; |
| | | ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 095 მ³ /წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისი |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 207 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 1 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

წინ, საქართველო!



# გამარჯვებულები თბილისში დაბრუნდნენ

**გუშინ გამთენიისას კახი გოგიჩაიშვილი თავის გუნდთან და გამარჯვებულის თასთან ერთად თბილისში დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდში, რურის თასის ფინალში დინამოელებმა თურქული „გალათასარაი“ დაამარცხეს.** შეხვედრის 44-ე წუთზე ანგარიში არჩილ მესხმა გახსნა, თუმცა სტამბოლელებმა ერთ წუთში გაათანაბრეს. ანგარიში 1:1 აღარ შეცვლილა და დაინიშნა მატჩისშემდგომი პენალტების სერია. დინამოელებმა გადამწყვეტი დარტყმები უფრო ზუსტად შეასრულეს და საბოლოოდ 3:2 აჯობეს მეტოქეს.

**„დინამო“:** კულუა, კაპანაძე, ჯაფიაშვილი, ლოჩოშვილი (ნემსაძე), სამხარაძე, ქიქავა, კობახიძე, ვეკუა (კვერნაძე), ლაშხია (მაჭავარიანი), ვოლკოვი, მესხი.

**ნახევარფინალი:** „დინამო“ —„ ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გერმანია) 0:0, პენალტებით 3:2.

**ჯგუფური ეტაპი:**
„დინამო“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გერმანია) 0:0,
„დინამო“ — „ვიქტორია“ (პლზენი, ჩეხეთი) 0:0,
„დინამო“ — „ვოლფსბურგი“ (გერმანია) 1:0,
„დინამო“ — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) 1:1.

**ტურნირში ასევე მონაწილეობდნენ:** „შალკე“ (გელზენკირხენი, გერმანია), „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ლონდონი, ინგლისი), „მაქაბი“ (ნეთანია, ისრაელი).

რურის თასი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირია ახალგაზრდებს შორის და ასეთი მაღალი რანგის ფორუმში მონაწილეობა ქართველებმა წლეულს პირველად მიიღეს.

„დინამო“ U-19 (მთავარი მწვრთნელი — **კახი გოგიჩაიშვილი**) დაკომპლექტებული იყო „დინამო“ 2-ის, დუბლების და აკადემიის ფეხბურთელებით.

**გიორგი შოთაძე**

შოკური თერაპია

# თბილისის „დინამოს“ კახი გოგიჩაიშვილი გაწვრთნის

**გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის რომან ფიფიას და ახალი მთავარი მწვრთნელის კახი გოგიჩაიშვილის პრესკონფერენცია გაიმართა.**

უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახეთის „აქტობესთან“ ორ მატჩში მარცხის შემდეგ თბილისის „დინამოში“ ძირეული ცვლილებები განხორციელდა. გუნდიდან წავიდნენ ჩეხი მთავარი მწვრთნელი მიხალ ბილეკი, მისი თანაშემწეები და ძირითადი შემადგენლობის 11 ფეხბურთელი.



**რომან ფიფია, „დინამოს“ პრეზიდენტი:**

...ყაზახეთის „აკტობესთან“ მარცხის შემდეგ მივხვდი, რომ რადიკალური ცვლილების დრო დადგა. ჩვენ, „დინამოს“ ხელმძღვანელობა ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ფეხბურთელებმა კარგად ითამაშონ, როგორც მინიმუმ, პირველივე ეტაპზე უშანსოდ არ დამარცხდნენ მეტოქესთან, ასეთ დროს კი საქმისადმი არასწორ მიდგომას ვხედავ. ამის მოთმენა არ შეიძლება.

...მიხალ ბილეკს პირისპირ შევხვდი. ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და კონტრაქტის გაწყვეტაზე შევთანხმდით. ასევე გადაწყვეტილია, რომ გუნდიდან წავა რამდენიმე მოთამაშე. ხელშეკრულების პირობებზე უახლოეს ხანებში მოვილაპარაკებთ. ვეცდებით, რომ მათ პრობლემა არ შეექმნათ. შემიძლია გითხრათ, რომ ამ ნაბიჯით „დინამო“ არაფერს მოიგებს, თუმცა ეს დღეს. სამაგიეროდ, დღევანდელი ნაბიჯის შედეგებს ჩვენ ხვალ მოვიმკით და მჯერა, რომ შედეგი სასურველი იქნება.

...ჩვენ დავეყრდნობით ახალგაზრდებს, რომლებიც 3-4 წელიწადში ანგარიშგასაწევ ძალად იქცევიან. პირადად დავესწარი „დინამოს“ 19-წლამდელთა გუნდის გამარჯვებას გერმანიაში და ვნახე, თუ როგორ იბრძოდნენ ბიჭები. მინდა, რომ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც „დინამოს“ პირველ გუნდში მოხვდებიან, საქმისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდეთ.

...გუნდის მთავარი მწვრთნელი კახი გოგიჩაიშვილი იქნება. მას აქვს დრო, რომ როგორც მე, ასევე გულშემატკივრებს „დინამოს“ პროგრესი გვანახოს თუ „დინამო“ წლიდან წლამდე განვითარდება, მერწმუნეთ, მე ყველანაირად ხელს შევუწყობ, რომ კახიმ რაც შეიძლება დიდხანს იმუშაოს კლუბში.

...რაც შეეხება ფეხბურთელთა ანაზღაურებას. „დინამოში“ იყვნენ მოთამაშეები, რომლებიც საქართველოს კვალობაზე ძალიან დიდ თანხას იღებდნენ. მივხვდი, რომ მათთვის დიდი ხელფასის გადახდა ფულის დაკარგვა იყო და სხვა არაფერი. ყოველ შემთხვევაში, „აქტობესთან“ მარცხმა ამაში დამარწმუნა. იმ ბიჭებს, ვინც „დინამოს“ პირველ გუნდში იქნებიან, არ ექნებათ დიდი ხელფასი, მაგრამ ისინი მიიღებენ საკმაოდ კარგ პრემიას. ვფიქრობ, ეს უკეთესი მოდელია.

**კახი გოგიჩაიშვილი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:**

...უპირველესად დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის — ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის ეს დიდი გამოწვევაა და არაფერს დავიშურებთ, სასურველ შედეგს რომ მივაღწიოთ.

...გუნდში სადღეისოდ რთული სიტუაციაა. სამწუხაროა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ასეთი ვითარება შეიქმნა, მაგრამ ჩვენ კლუბის ხელმძღვანელობა გვენდო და დარწმუნებული ვარ, დასახულ ამოცანას თავს გავართმევთ.

...შემიძლია გითხრათ, რომ „დინამოში“ აღარ ითამაშებენ გიორგი ლორია, გიორგი მერებაშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი, ოთარ მარცვალაძე, გიორგი ხიდეშელი, დავით ხურცილავა, დავით კვირკველია, რაფა ჯორდა, ხორდი გარსია, რადეკ დოსოუდილი და პატრიკ ვუო. შემადგენლობას დაწინაურებული ფეხბურთელებით შევავსებთ.

**მანუჩარ გიორგაძე**

ჭადრაკი

# მთელი მსოფლიო — ტრომსოში

**ნორვეგიულ ტრომსოში, როგორც გაუწყეთ, ხვალ საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც ქალ-ვაჟთა 316 ნაკრები იასპარეზებს.** შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა — ზურაბ სტურუამ და ლაშა ჯანჯღავამ თბილისის ჭადრაკის სასახლეში მასმედიის წარმომადგენლებს წარუდგინეს ახალ სააღლუმო ფორმაში გამოწყობილი დიდოსტატები: ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი (კაპიტანი ნინო გურიელი, მწვრთნელები - ზურაბ სტურუა, ხვიჩა სუპატაშვილი, დავით ჯოჯუა); ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, გაიოზ ნიგალიძე, კონსტანტინე შანავა (კაპიტანი ლუკა პაიჭაძე, მთავარი მწვრთნელი ლაშა ჯანჯღავა). საგულისხმოა, რომ ტურნირზე მსაჯად არის მიწვეული ქართველი საერთაშორისო არბიტრი მარიკა ჯაფარიძე. შეგახსენებთ, რომ ტრომსოში პირველი ტურის პარტიები 2 აგვისტოს გაიმართება.

— ჩვენი მიზანი უცვლელია, — გვითხრა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ. — ქალებისგან მედალს ველით, ვაჟების პირველ ათეულში მოხვედრა კი კარგი შედეგი იქნება.

**ლელა ჯავახიშვილი**: საქართველოს ნაკრების წევრებმა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში კარგად ვითამაშეთ, რაც დადებითად უნდა აისახოს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე. მეც და თანაგუნდელებიც ტურნირზე კარგი განწყობით მივემგზავრებით და იქ მასპინძლებმა ოდნავ მაინც თუ დაგვახვედრეს სათანადო პირობები, ვეცდებით, ქომაგები გავახაროთ.

**ბაადურ ჯობავა:** მართალია, რეიტინგით 19 ქვეყნის წარმომადგენლებს ჩამოვრჩებით, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ტრომსოში ქულების დასარიგებლად მივდივართ. ჩვენს გუნდთან პაექრობა ყველას გაუჭირდება. აუცილებლად ათეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

**ლაშა დიდია**



**სურათზე**: **საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ნაკრების წევრები მწვრთნელებსა და ფედერაციის მესვეურებთან ერთად.**

ჭიდაობა

# ორი აზიური „ვერცხლი“

**ყაზახეთის ჯამბულის რეგიონის ქალაქ ტარაზში დმიტრი კუნაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს ყახაზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, უკრაინის, ირანის, მონღოლეთისა და იტალიის წარმომადგენლებმა.** შეჯიბრებაში საქართველოდან ორი ფალავანი გამოდიოდა — დავით ქერაშვილი (97) და დავით მოძმანაშვილი (125). ორივემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, თან ფინალში ორივე ყაზახ მოჭიდავესთან დამარცხდა — ქერაშვილმა ნურმუხამბეტ ინკართან, მოძმანაშვილმა კი დმიტრი პოპოვთან წააგო.



ეს ტურნირი კომერციული შეჯიბრება იყო — ჩემპიონებმა 5.000, ვიცე-ჩემპიონებმა — 3.000, მესამე პრიზიორებმა და გამარჯვებულთა მწვრთნელებმა კი 1.000-1.000 დოლარი დაიმსახურეს.

ტურნირში კიდევ სამი ქართველი ცდიდა ძალებს, ოღონდ ყველა ყაზახეთის სახელით. მათგან ცოტნე ბარამიძემ 70 კილოში ბრინჯაო მოიპოვა, ასლან კახიძე (97) და ლევან ჯვარიძე (125) კი მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

**გივი გაგუა**

მართლაც საჩემპიონო!

# ჯოკოვიჩი წყალბურთელებმა გაახარეს

**სერბეთის წყალბურთელთა ნაკრებმა ბუდაპეშტში დასრულებული ევროპირველობის დასკვნით მატჩში მასპინძელ უნგრეთს 12:7 მოუგო და კონტინენტის საუკეთესო გუნდის წოდება შეინარჩუნა.** თანამემამულეებს აქტიურად ქომაგობდა ჩოგბურთელთა რეიტინგსიის ლიდერი, უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონი ნოვაკ ჯოკოვიჩი. „ნოლემ“ სერბებს ჩემპიონობა მიულოცა.

„ვულოცავ ბიჭებს ოქროს მედლებს. ყოჩაღ ჩვენ წყალბურთელებს, მართლაც საჩემპიონო ნაკრები გვყავს“, — ნოვაკმა ეს სიტყვები ტვიტერის მისსავე გვერდზე გამოაქვეყნა.

**კობა კობახიძე**



კრიმინალი

# ტევესის მამა არგენტინაში მოიტაცეს



**იტალიური „იუვენტუსის“ თავდამსხმელის კარლოს ტევესის მამა არგენტინაში გამოსასყიდის მიღების მიზნით მოიტაცეს. ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა** The Guardian-**ი იუწყება.**

ინციდენტი 29 ივლისს დილის 7 საათზე ბუენოს-აირესის გარეუბან მორონეში მოხდა. დამნაშავეები მოტაცებულის ოჯახს დაუკავშირდნენ და გამოსასყიდი მოითხოვეს. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად დასახელებული თანხა იმაზე ნაკლები იყო, რაც გამტაცებლებმა მოგვიანებით მოითხოვეს. ვარაუდობენ, რომ მათ გატაცების მომენტში არ იცოდნენ საქმე ვისთან ჰქონდათ. პოლიცია ინციდენტს იძიებს, ხოლო ტევესი სამშობლოში უკვე დაბრუნდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ეკრანსმიჯაჭვულები

# „საპნის ოპერების“ ეკონომიკური ხიბლი

## რაშია სერიალების კომერციული საიდუმლო?

*სერიალების გარეშე თანამედროვე ტელევიზიის არსებობა თითქმის წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ სერიალებს ბევრი აკრიტიკებს, ბევრიც მიიჩნევს, რომ „საპნის ოპერის“ გადაღებაში ფულს არ ჩადებდა, მათი პოპულარობა მაინც არ იკლებს. საქართველოში სერიალების ბუმი „იზაურათი“ დაიწყო და მგზნებარე სამხრეთ ამერიკული სერიალებით გაგრძელდა. ბოლო ხანებში კი, ჩვენი მაყურებლის გული თურქულმა სერიალებმა დაიპყრო. მართალია, ე.წ. საპნის ოპერები უფრო ქალთა აუდიტორიას იზიდავს, მაგრამ არსებობს მამაკაცთა აუდიტორიაზე გათვლილი დეტექტიური ჟანრის სერიალები. ერთი სიტყვით, სერიალებს აქვს ის იდუმალი, ამოუხსნელი ხიბლი, რომელიც მაყურებელთა ფართო აუდიტორიას იზიდავს და კომერციულად მომგებიანია ტელევიზიებისთვისაც.*




**„სერიალების შეძენა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ფასებიც განსხვავებულია: ერთი და იგივე სერიალი შეიძლება სხვადასხვა ფასად შეიძინოს სხვადასხვა ქვეყანამ, ეს დამოკიდებულია ქვეყნის ტერიტორიაზე, ენაზე, რომლითაც საუბრობენ სერიალში და ა.შ... რაც უფრო გავრცელებულია ეს ენა, მით უფრო ძვირია სერიალი. ერთი სერიის ფასი 150 დოლარიდან იწყება და 2 400-2 500 დოლარსაც აღწევს, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი მაინც მოლაპარაკების მიხედვით წყდება. 150 დოლარი საკმაოდ დაბალი ხარისხის სერიალის ფასია. სხვათა შორის, ზოგიერთი სერიალის ეპიზოდი ანუ ერთი სერია, შეიძლება 100 დოლარადაც იყიდო, მაგრამ ეს კიდევ უფრო დაბალი დონის სერიალებია. ყველაზე იაფფასიანი სამხრეთამერიკული სერიალის ერთი ეპიზოდი 200 დოლარი ღირს, ყველაზე ძვირისა კი — 500 დოლარი.**




**რა მოგება მოაქვს სერიალებს? — მათ მიერ მოტანილი მოგება არის როგორც ფინანსური, ასევე სხვა სახის — რაც შეიძლება მეტი მაყურებელი მოიზიდოს და არხის პოპულარობა გაზარდოს. სერიალი — მასებზე გათვლილი პროდუქტია, ამიტომ მისი წყალობით შეიძლება არნახულად გაიზარდოს არხის მაყურებელთა რაოდენობა. ამიტომ, ისეთი არხები, როგორიცაა „რუსთავი-2“, ან „იმედი“, მინიმუმ ხუთ სერიალს მაინც უშვებენ დღის განმავლობაში. ამით ისინი დროის ყველა მონაკვეთში იზიდავენ მაყურებელს. ზოგიერთი არხი ახერხებს სერიალისაგან მოგება ნახოს, ზოგი — მხოლოდ დანახარჯს იღებს, ზოგი კი — საერთოდ ვერ იღებს ვერანაირ მოგებას, თუმცა, მთავარი მაინც არაპირდაპირი მოგებაა — ანუ არხის ცნობადობისა და მაყურებლის რიცხვის ზრდა“. — ამბობს BPN-თან საუბრისას ერთ-ერთი ტელევიზიის პროდიუსერი, რომელმაც მიზეზთა გამო საჯაროდ ვინაობის გამხელა არ ისურვა.**

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოპულარული სერიალი ყოველთვის იზიდავს რეკლამას, რომლის ფასიც საკმაოდ მაღალია და ეს სერიოზული მოგებაა ნებისმიერი ტელევიზიისათვის. როგორც გავარკვიეთ, სასპონსორო რეკლამის პაკეტი მთელი თვის განმავლობაში 20 ათასი დოლარიც კი შეიძლება ღირდეს: სასპონსორო რეკლამების ფასი 5 ათასი დოლარიდან იწყება და 20 ათას დოლარამდე ადის. ზოგიერთ ტელევიზიაში ერთწუთიანი რეკლამა 300 დოლარი ღირს, ზოგ არხზე კი - 400-500 დოლარს აღწევს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სერიალის შესყიდვაც ძვირი ჯდება და მის გახმოვანებაზეც საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება. თურქული სერიალები ყველაზე ძვირია, ასევე ძვირია ამერიკული სერიალებიც. საქართველოში ყველაზე წარმატებული ამერიკული სერიალები „გაქცევა“ და „ლოსტი“ იყო. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ სერიალის ერთი ეპიზოდი 1500 დოლარი ღირდა. ახალი თურქული სერიალის ერთი ეპიზოდის ფასი კი ზოგჯერ 2400 დოლარსაც აღწევს.

რამ გამოიწვია თურქული სერიალების ბუმი? სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სამხრეთ-ამერიკული სერიალები ხალხს მობეზრდა და სიახლეს ელოდა, სწორედ ეს სიახლე აღმოჩნდა თურქული სერიალი, რომელიც ახლოს აღმოჩნდა ქართულ ხასიათთან და ჩვენს ემოციურ თავისებურებებთან. თანაც, თურქული სერიალები საკმაოდ მაღალი ხარისხისაა — სიუჟეტიც, დრამატურგიაც, გადაღებაც მაღალი დონისაა. თურქებმა შექმნეს პროდუქტი, რომელიც კინოსთან მიახლოებულია და რომელმაც „საპნის ოპერების“ მოყვარულნი ცისფერ ეკრანს მიაჯაჭვა.

რეჟისორი **გიორგი ლიფონავა** ფიქრობს, რომ სერიალების პოპულარობა მათი შინაარსით განისაზღვრება — იმით, თუ რამდენად დამაინტრიგებელი და საინტერესოა მათი გმირების თავგადასავალი. **„შემდეგ უკვე მაყურებლებიც ერთვებიან პროცესში, მათ აინტერესებთ, როგორ წარიმართება სერიალის გმირების ცხოვრება, ან რა ელით მათ, აინტერესებთ მოვლენების განვითარება და ამ პროცესის თანამონაწილენი ხდებიან. უცხოური სერიალის შესყიდვა ახლის გადაღებასთან შედარებით უფრო იაფი ჯდება, ამიტომაც აჭარბებს დღეს უცხოური სერიალების რიცხვი ქართული სერიალებისას“,** — ამბობს ლიფონავა.

**გიგა აგლაძე,** კინორეჟისორი: **„არსებობს საკმაოდ ძვირი სერიალები, მაგრამ საქართველოში 2500 დოლარს ერთ სერიაში არავინ გადაიხდის, რადგან ამას ვერც ერთი ტელევიზია ვერ შეწვდება. როგორც ვიცი, ერთი სერიის მაქსიმალური ზღვარი ჩვენთან 400 დოლარია, ხოლო ქართული სერიალის ერთი სერია დაახლოებით 2500 დოლარი ჯდება, ზოგჯერ — უფრო მეტიც, გააჩნია სერიალს და გადაღების თავისებურებებს. როდესაც მოქმედება სტუდიაში მიმდინარეობს, მაშინ სერიალი უფრო იაფია, ხოლო როცა სხვადასხვა ადგილას, ან ბუნებაში იღებენ, ეს უკვე კინოსერიალია, რომელიც გაცილებით ძვირი ღირს. ძალიან რეიტინგული და წარმატებული სერიალი იყო „შუა ქალაქში“, რომელსაც დიდი თუ პატარა სიამოვნებით უყურებდა. მისი სიუჟეტი სტუდიაში, დეკორაციების ფონზე ვითარდებოდა, ხოლო „ჩემი ცოლის დაქალებს“ სხვადასხვა ადგილას იღებენ. ასეთი სერიალის გადაღება საერთოდ, უფრო ძვირი სიამოვნებაა. მაგრამ თუ სერიალი მარკეტინგულად სწორად არის გათვლილი, ის ტელევიზიის რეიტინგის ზრდაზე მუშაობს. პოპულარულ სერიალებს ყოველთვის ჰყავდა და მომავალშიც ეყოლება მაყურებელი, ამიტომ, ტელევიზიასაც უღირს, რომ ამ ტიპის პროექტებში ფული ჩადოს“.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

რა არ ხდება ქვეყანაზე!

# „მეც მინდა, რომ პატარა მყავდეს!“

**ბრიტანულ გამოცემა „დეილი მეილში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორთა მტკიცებით, ბავშვის ყოლის სურვილი... გადამდები ყოფილა. ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალი უფრო ხშირად აჩენს ბავშვს მას შემდეგ, რაც მის მეგობარს შვილი ეყოლება. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ეს ეფექტი ცოტა ხნის განმავლობაში მოქმედებს, რომელიც უშუალოდ მეგობრის მშობიარობის შემდეგ ჩნდება, პიკი კი ორ წელს გრძელდება, რასაც შვილის ყოლის ინტერესის გაქრობა მოსდევს, ამბობს ბოკონის უნივერსიტეტის სწავლული ნიკოლეტა ბოლბო.**

ეს იმას მოწმობს, რომ გვარის გაგრძელების სურვილი ბოლომდე ინდივიდუალური არ არის. და მთავარ როლს ამ დროს ადამიანის გარშემო არსებული სოციალური გარემო ასრულებს. კერძოდ, გაირკვა, რომ ის ხალხი, ვისთანაც ერთად, ვთქვათ, საბავშვო ბაღში დავდიოდით, ანდა სკოლაში ვსწავლობდით, ჩვენზე შემდგომშიც ახდენს ზეგავლენას.



ფსიქოლოგებისთვის ცნობილია, რომ მეგობრებს ადამიანის ქცევაზე საკმაოდ დიდი ზეგავლენა აქვთ — ეს ეხება თამბაქოს მოწევასა და სპირტიანი სასმელების მოხმარებას, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა მიმართ დამოკიდებულებასა და სამოსელის შერჩევის პრინციპს, ზოგადად ინტერესთა სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრას. აღნიშნული კვლევის წარმოებისას, სპეციალისტებმა თვალი მიადევნეს 15-დან 30 წლამდე ასაკის 1700 ახალგაზრდა ამერიკელ ქალიშვილს. მათში მშობიარობის, საშულო ასაკმა, 27 წელი შეადგინა. ცალკეა გამოსაყოფი ის გარემოება, რომ მეგობრების ზეგავლენა თავს იჩენდა უმეტესად დაგეგმილი ფეხმძიმობის შემთხვევაში, ანუ ქალები თავს საკუთარ მეგობრებს შეგნებულად ადარებდნენ.

გარდა დადებითი ზეგავლენისა, ახალგაზრდა დედებს თავიანთი უშვილო მეგობრებისთვის ქალის ცხოვრებაში ამ უდიდესი მოვლენის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებაც შეუძლიათ. მეგობარ ქალთან ერთდროულად მშობიარობა ერთმანეთში გამოცდილების გაზიარების საუცხოო შესაძლებლობას ქმნის და ამით ორსულობითა და ბავშვის მოვლით გამოწვეულ სტრესს ამცირებს. თანაც მეგობრობის გამყარებასაც დიდად უწყობს ხელს.

# ენზიმი, კოკას მტერი

**კოკაინმა, ერთ-ერთმა უძლიერესმა ბუნებრივმა ნარკოტიკმა, თავის სახელწოდება მცენარე კოკადან მიიღო, რომლის ფოთლებიდანაც მას აწარმოებენ. ახლახან კი მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კოკას პლანტაციებში მცენარეთა მახლობლად მცხოვრებ ბაქტერია ენზიმს, „კოკაინ ესტერაზას“ სახელწოდებით ცნობილ ნაერთს აწარმოებს, რომელსაც კოკას ნარგავების სწრაფი განადგურება შეუძლია. მედიკოსები ვარაუდობენ, რომ ენზიმის გამოყენება კოკაინის ჭარბი დოზის მიღების შედეგებთან საბრძოლველად, ასევე კოკაინური დამოკიდებულების სამკურნალოდ შეიძლება.**



ამერიკის შეერთებული შტატების კენტუკის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა ენზიმის გამოკვლევა 2008 წელს დაიწყო და მოდიფიცირებული „კოკაინ ესტრაზა“ შექმნა, რომელიც ადამიანის სხეულში, ბუნებრივი ნაერთისგან განსხვავებით, 6 საათს ძლებს, რაც ნარკოტიკების ჭარბი დოზის მიღების შედეგებთან საბრძოლველად, სავსებით საკმარისია.

მაგრამ, მეცნიერებს ისიც უნდოდათ, რომ ენზიმით ნარკოტიკული დამოკიდებულების მკურნალობაც ყოფილიყო შესაძლებელი კოკაინისგან მიღებული ნარკოტიკული სიამოვნების მიღების თავიდან აცილების გზით. მათ ენზიმის კომპიუტერული მოდელი შექმნეს და მაღალი ტემპერატურის პირობებში მისი ზემოქმედების მოდელი შექმნეს. შედეგად, მათ ანტინარკოტიკული პრეპარატის შექმნის საქმეში უდიდესი ნაბიჯი გადადგეს: ენზიმის ნახევრდაშლის პერიოდი ახლა 100 დღეს გრძელდება, მისი კოკაინის შთანთქმის უნარი კი 150 პროცენტით გაიზარდა!

მკვლევარები დარწმუნებულები არიან, რომ მათი აღმოჩენა შესაძლებლობას მისცემთ არა მარტო კოკაინურ დამოკიდებულებასთან, არამედ მისი ჭარბი დოზით მიღების შედეგებთანაც.

ინფორმაცია

# ხანძარი „გალფის“ ნავთობბაზაზე

**თბილისში, წყალსადენის ქუჩაზე მდებარე „გალფის“ ნავთობბაზაზე ხანძარი გაჩნდა. როგორც ჟურნალისტებს თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ გიორგაძემ განუცხადა, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია და ხანძრის გამომწვევ მიზეზებს საგამოძიებო ორგანოები დაადგენენ.**

**მისი ინფორმაციით, დამწვარია დაახლოებით 2 000-2 500 კვადრატული მეტრი ტერიტორია. როგორც თემურ გიორგაძემ აღნიშნა, საწვავით დატვირთული ხუთი ავტოცისტერნა აფეთქდა; დამწვარია ღობეები და ავტოფარეხები. ხანძარი ასევე გადაედო „გალფის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავტონაწილების მაღაზიებსა და მეორად ავტომობილებს.**

**თემურ გიორგაძის ინფორმაციით, მსუბუქად დაშავებულია მხოლოდ ერთი პირი. სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა ორი მეხანძრეს.**

**მერიის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს ხელმძღვანელის ცნობით, ტერიტორიას ყურადღების მიქცევა უნდა და 15 წუთში ერთხელ შემოვლა დასჭირდება, რის გამოც ადგილზე რამდენიმე სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადა დარჩა.**



თითქმის დაუჯერებელი, მაგრამ ნაღდი...

# 16 ყველაზე ძვირად ღირებული...

სულ ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთმა პოპულარულმა ამერიკულმა სამეცნიერო სააგენტომ გამოაქვეყნა სია, რომელშიც შეყვანილია მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მატერიები.

გუშინ დავიწყეთ ბოლო ადგილიდან, დღეს ვაგრძელებთ ჩამონათვალს.



**8) ლსდ** (LSD)



ლიზერგინული მჟავის დიეთილამიდი. იგი ყველაზე ძვირადღირებულ და ძლიერმოქმედ ნარკოტიკად ითვლება. მედიცინაში მას ფსიქიატრები იყენებენ. სუფთა ლსდ-ს ერთი გრამი 3000 აშშ დოლარი ღირს და მას შეუძლია რამდენიმე ათასი ადამიანი „დააკმაყოფილოს“.

**7) პლუტონიუმი**



ძლიერი რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ატომურ ინდუსტრიაში, მათ შორის ბომბების დასამზადებლად. სწორედ „პლუტონიუმ 239“ შედიოდა იმ ბომბის შემადგენლობაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში გამოსცადა ამერიკამ. მისი ერთი გრამის ღირებულება 4000 აშშ დოლარია, თუმცა, მისი შეძენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

**6) პეინიტი**



უიშვითესი ძვირფასი ქვა, რომელიც ტოპაზს წააგავს. მისი ერთი გრამის ფასი დაახლოებით 9000 აშშ დოლარია.

**5) ტააფეიტი**

უიშვიათესი ძვირფასი ქვა, რომლის ერთი გრამი 25 000 აშშ დოლარს შეადგენს.

**4) ტრიტიუმი**



რადიოაქტიური ნივთიერება, რომელსაც ასევე მეცნიერებაში და მრეწველობაში იყენებენ. მისი ერთი გრამი 30 000 აშშ დოლარი ღირს.

**3) ბრილიანტი**



ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ძვირფასი ქვა, რომელიც მიიღება ალმასის დამუშავებით. კლასიკურად დამუშავებულ ბრილიანტს 56 გვერდითი წახნაგი აქვს. მისი ერთი გრამის ღირებულება 55 000 აშშ დლარია.

**2) კალიფორნიუმი**



რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი, რომელიც ბუნებრივად დედამიწაზე არ მოიპოვება და სინთეზური გზით მიიღება. მასაც ატომურ მრეწველობაში იყენებენ და მისი ერთი გრამის ღირებულება წარმოუდგენლად დიდია – 27 000 დოლარი.

**1) ანტიმატერია**



მისი დანახვა ან შეგრძნება ჩვეულებრივ პირობებში შეუძლებელია. იგი მხოლოდ მეცნიერებმა დააფიქსირეს კვანტურ ფიზიკაში ცდების ჩატარებისას. ანტიმატერიის ერთი გრამის ღირებულება 62, 5 ტრილიონ დოლარადაა შეფასებული, რაც აშშ-ის ბიუჯეტს 25-ჯერ აღემატება. მის შეგროვებაზე არც იოცნებოთ, რადგან ეს მხოლოდ ფანტასტიკის სფეროა და მისი შეგროვებაც მხოლოდ თეორიულადაა შესაძლებელი.

**შეკრიბა**
**თეო ტაბატაძემ**

---

## ცინცხალი ანეკდოტები

– **პეტკა**, ამ ორი სადენიდან ერთ-ერთი აიღე, – ეუბნება ელექტრიკოსი თავის მოწაფეს.
– ავიღე.
– რამეს გრძნობ?
– არა.
– მაშინ მეორე სადენს ხელი არ ახლო, მასში 2000 ვოლტი გადის.

* * *



**ორი** ტიპი ხვდება ერთმანეთს:
– რად ხარ ასე მოწყენილი?
– ცოლი მომიკვდა.
– არა უშავს, კიდევ შეირთავ!
– ეჰ, რომ იცოდე, რაოდენ ძნელია ცოლის დაკარგვა!!
– ჰო, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია!!!

* * *

– **რატომ** არ ეწევით, ჯანმრთელობას უფრთხილდებით?
– არა, ფულს ვზოგავ არყისთვის.

* * *

**მშობლები** ხშირად მაყენებენ კუთხეში – არ სურდათ, რომ სტუმრებს დაენახათ ხვრელი კედელში.

* * *

**მძიმედ** დატვირთული ცოლ-ქმარი ძლივს შელასლასდა სადგურში.
– საწყენია, რომ პიანინო არ წამოვიღეთ, – წუხს ქმარი.
– ვითომ ხუმრობ, არა?
– ვხუმრობ კი არა, პიანინოზე გვედო ბილეთები!

* * *

**იმის** მტკიცება, რომ დღეს ჯენტლმენებს ვერ შეხვდები, უსამართლობაა!
მე პირადად ვნახე, როგორ უმარჯვებდა ქმარი ქოლგას ცოლს, სანამ ეს უკანასკნელი მანქანის საბურავს ცვლიდა.

---


## საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

### ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

### „ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება




კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

**„ფერდი“ და „სალხინო“** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84**
www.salkhino.ge


---

## კრიმინალი

### ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა

**რუსთავში** მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვეპლა, ახალგაზრდა გოგო კი მსუბუქად დაშავდა. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. „მერსედესის“ მარკის „ჯიპის“ ტიპის მანქანა ლეონიძის ქუჩაზე ფეხით მოსიარულეებს დაეჯახა.

თვითმხილველების თქმით, გზაზე მცირეწლოვანი ბავშვი გადადიოდა, რა დროსაც დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა გამოჩნდა, ახალგაზრდა მამაკაცმა ბავშვს ხელი ჰკრა და მანქანას აარიდა, „ჯიპი“ მას და მის მეგობარ გოგონას დაეჯახა. მომხდართან დაკავშირებით აღიძრა საქმე და მიმდინარეობს მოკვლევა.

### პედაგოგმა თავი ჩამოიხრჩო

**თელავის** მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში 55 წლის პედაგოგმა თავი ჩამოიხრჩო. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იტყობინება, ელისო ხუციშვილი მეზობელმა საკუთარ ეზოში ხეზე თოკით დაკიდებული ნახა. გარდაცვლილის ახლობლები ვარაუდობენ, რომ თვითმკვლელობა ჯანმრთელობის პრობლემას უკავშირდება. მათივე თქმით, ხუციშვილმა რამდენიმე თვის წინ შეიტყო, რომ მძიმე სენით იყო დაავადებული. ის სახლში მარტო ცხოვრობდა და რუისპირის სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

### დააკავეს სატყეო ადმინისტრაციის უფროსი

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის უფროსი ინარი ზაქარაძე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ინარი ზაქარაძემ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და თავის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს უკანონოდ დაავალა კონკრეტული მოქალაქეებისათვის, თითქოსდა ტყითსარგებლობის წესების დარღვევისათვის, დაჯარიმების ყალბი აქტების გამოწერა.

### დააპატიმრეს გამომძალველები

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1992 წელს დაბადებული მიხეილ ნ. და 1994 წელს დაბადებული ბაჩანა ა. გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 1995 წელს დაბადებულ ავთანდილ შ-ს სხვადასხვა დროს, ფიზიკური ძალადობის და სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ეტაპობრივად 650 ლარი გამოსძალეს.

---

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24